სს „მიკრობანკი კრისტალი“

ხელშეკრულების წინამდებარე ვერსია მოქმედია 2026 წლის 25 თებერვლიდან საბანკო

ანგარიშის და პლასტიკური ბარათების მომსახურების შესახებ ხელშეკრულება

შინაარსი

1. ტერმინთა განმარტება 1
2. ხელშეკრულების საგანი.....5
3. საბანკო ანგარიშ(ებ)ის გახსნა და სახეები 6
4. ანგარიშთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციები, ფულადი ტრანზაქციები 7
5. საბანკო ანგარიშების და საბანკო პლასტიკური ბარათის ტარიფები,საკომისიო 10
6.საბანკოანგარიშებისმხარეთავალდებულებები,პასუხისმგებლობები.....11
7.ბარათით მომსახურების სპეციალური დებულებები.....12
8. პერსონალური მონაცემები და კონფიდენციალურობა.....26
9.კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, თანმდევი ვალდებულებები.....27
10. ხელშეკრულების ცვლილება.....34
11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი შეწყვეტა, ანგარიშის დახურვა 34
12. დისტანციურად დადებულ საბანკო ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები 36
13. მხარეებს შორის კომუნიკაცია, დავის გადაწყვეტა.....37

1. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ტერმინებს, თუ მის ფარგლებში დადებული კონკრეტულ გარიგებ(ებ)ით სხვაგვარად არ დგინდება, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

მიკრობანკი - სს მიკრობანკი „კრისტალი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 212896570, სათაო ოფისი მდებარე: ქუთაისი, ნიკეას ქ. #22, ელ.ფოსტა: info@crystal.ge, ვებ.გვერდი: www.crystal.ge, ტელ. +995 322 02 20 20, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 12 თებერვლის N52 განკარგულება მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე;

საზედამხედველო ორგანო - საქართველოს ეროვნული ბანკი, ვებ. გვერდი: www.nbg.gov.ge. მისამართი ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1, თბილისი 0114. გაითვალისწინეთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი მიკრობანკის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე;

კლიენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობით ან/და მიკრობანკის მიერ დადგენილი წესით წარდგენილი განაცხადისა და საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, მიკრობანკის მხრიდან იღებს საბანკო ანგარიშის მომსახურებას. კლიენტი შეიძლება იყოს როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით

გათვალისწინებული ნებისმიერი სახის სუბიექტი ან ორგანიზაციული წარმონაქმნი, მიუხედავად იმისა, ითვლება თუ არა ის იურიდიულ პირად.

საბანკო ანგარიში, რომელზეც აღირიცხება პირის ფულადი სახსრები და რომელსაც განკარგავს კლიენტი გადახდების განსახორციელებლად ან სხვა მიზნით.

საბანკო ანგარიშის მომსახურება - საბანკო ანგარიშის გახსნა, საგადახდო ტრანზაქციების განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

ამონაწერი - ინფორმაცია ანგარიშზე ჩატარებული ოპერაცი(ებ)ის და ნაშთ(ებ)ის შესახებ;

გადახდის ოპერაცია – კლიენტის ან მიმღების მიერ ინიცირებული ფულადი სახსრების განთავსების, ჩარიცხვის, გადარიცხვის ან გატანის ოპერაცია;

ნაღდი ანგარიშსწორება - ნაღდი ფულით განხორციელებული გადახდები საბანკო ანგარიშის ან სხვა საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებით, ნაღდი ფულადი თანხების საბანკო ანგარიშზე შეტანა / ანგარიშიდან გატანა;

უნაღდო ანგარიშსწორება - ანგარიშსწორება საგადახდო საბუთებით ნაღდი ფულის გამოყენების გარეშე;

საგადახდო დავალება – კლიენტის ან მიმღების მიერ მიკრობანკისათვის მიცემული დავალება საბანკო ანგარიშის მეშვეობით გადახდის ოპერაციის განხორციელების თაობაზე;

უაქცეპტო წესით თანხების ჩამოჭრა - მიკრობანკის მიერ კლიენტის თანხმობის (ნებართვის) გარეშე კლიენტის ანგარიშიდან თანხების ჩამოჭრა, მათ შორის საინკასო დავალების საფუძველზე;

საინკასო დავალება (უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა) – საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი მესამე მხარის (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოები: სააღსრულებლო ბიურო, კერძო აღმასრულებელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური ან საინკასო დავალების წარმოდგენაზე სხვა უფლებამოსილი პირი), მიერ მიკრობანკისადმი დადგენილი ფორმით გაცემული დავალება, გადამხდელის ანგარიშიდან მისი (გადამხდელის) თანხმობის გარეშე ფულადი სახსრების უპირობო ჩამოწერაზე;

ყადაღა - უფლებამოსილი სახელმწიფო/ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე საბანკო ანგარიშზე რეგისტრირებული შეზღუდვა არსებული თანხების განკარგვასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში დაშვებულია მხოლოდ ანგარიშზე თანხის შეტანა/ჩარიცხვა;

საგადახდო ინსტრუმენტი - ტექნიკური საშუალება ან/და მიკრობანკსა და კლიენტს შორის შეთანხმებული პროცედურების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც კლიენტი ახდენს საგადახდო დავალების ინიცირებას;

კომერციული კურსი - უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვისთვის დადგენილი კურსი, რომელსაც ადგენს მიკრობანკი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ გაცვლით კურსზე დაყრდნობით; კონვერტაცია - ერთი ვალუტის სანაცვლოდ სხვა ვალუტის შეძენა;

საკომისიო - მიკრობანკის მიერ კლიენტისათვის ნებისმიერი საბანკო პროდუქტით სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადი, მომსახურების საფასური, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება მიკრობანკში დადგენილი პირობების შესაბამისად ან/და კონკრეტული საბანკო პროდუქტის ხელშეკრულებით;

FATCA - უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტი;

საბანკო დღე - შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა, კვირის დღეების 09:30-დან 18:00 საათამდე პერიოდი;

სამუშაო დღე - კვირის დღეები, გარდა შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა.

ბარათი - ბანკი მიერ კლიენტ ფიზიკურ პირზე ემიტირებული მასტერქარდის (MasterCard) სადებეტო ტიპის საგადახდო ინსტრუმენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია საბარათე ოპერაციის ინიციირებ;

სადებეტო ბარათი - ბარათი, რომელიც კლიენტ ფიზიკურ პირს საშუალებას აძლევს განკარგოს საბარათე ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხები;

საბანკო პლასტიკური ბარათი არის ემიტენტი ბანკის მიერ გამოშვებული საგადამხდელო ინსტრუმენტი, რომელიც წარმოადგენს საანგარიშსწორებო საშუალებას საქონლის ან მიღებული მომსახურების საფასურის გადასახდელად, ნაღდი ფულის მისაღებად, ვალუტის გადასაცვლელად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ოპერაციების განსახორციელებლად.

არაპერსონიფიცირებული ბარათი არის წინასწარ დამზადებული სადებეტო მასტერქარდის ბარათი, რომლის გაცემაც მომხმარებლზე შესაძლებელია შეკვეთისთანავე, დაუყოვნებლივ. უსახელო ბარათზე დატანილია ბარათის ყველა სავალდებულო მონაცემი, გარდა მომხმარებლის სახელისა/გვარისა.
პერსონიფიცირებული ბარათი მზადდება მომხმარებლის წინასწარი შეკვეთის საფუძველზე და მასზე ბარათის დატანილია ყველა სავალდებულო მონაცემი მათ შორის მფლობელის სახელი/გვარი. სახელობითი ბარათები არის ორი ტიპის:

სტანდარტ ბარათი არის საბანკო ბარათის ტიპი, რომლითაც შესაძლებელია ძირითადი საბანკო საბარათე მომსახურების მიღება, როგორიცაა გადახდები, თანხის განაღდება და ონლაინ ტრანზაქციები.
გოლდი ბარათი არის მაღალი კატეგორიის ბარათი, რომელზეც განაღდება/გადახდის ლიმიტები განისაზღვრება შესაბამისი მატრიცის მიხედვით.

ბარათზე დატანილი სავალდებულო მონაცემები_ წინამდებარე დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, ბარათის მფლობელის სახელი (ან სახელის ინიციალი) და გვარი (გარდა არაპერსონიფიცირებული (უსახელო ბარათისა), ბარათის მოქმედების ვადა, CVC კოდი, საბარათე სქემის/საგადახდო ბრენდის და ემიტენტის დასახელება ან/და მათი ლოგოტიპები, ბარათის მფლობელის ხელმოწერის ადგილი (გარდა ჩიპიანი ბარათებისა), ემიტენტის ცხელი ხაზის ნომერი.

საბარათე ანგარიში – არის ბანკში კლიენტის სახელზე გახსნილი საბანკო ანგარიში, რომელზეც მიბმულია საბანკო პლასტიკური ბარათი და მასზე აისახება ბარათით შესრულებული ოპერაციები; საბარათე ანგარიში არის მულტისავალუტო (ლარი /ევრო/აშშ დოლარი).

საბანკო პლასტიკური ბარათის ძირითადი (პრიორეტეტული) ვალუტის ანგარიში - ანგარიში საიდანაც პრიორიტეტულად მიმდინარეობს თანხების განკარგვა, იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქციის ვალუტის ანგარიშზე არ არის საკმარისი ნაშთი.

საბანკო ანგარიშის დამატებითი ვალუტის ანგარიში - ანგარიშ(ებ)ი, რომელიც მიბმულია ბარათზე ძირითად ანგარიშთან ერთად.

პრინციპალი - ამ დოკუმენტის მიზნებისთვის იგივე მეგობარი ქსელის ბანკი, კომერციული ბანკი, რომლის ბანკომატებსა და პოსტერიმენალებსზე კრისტალის მიერ ემისურებულ ბარათებზე ვრცელდება შეღავათიანი ტარიფები.

ბარათის მფლობელი _ საბანკო პლასტიკური ბარათით მოსარგებლე ფიზიკური პირი, რომლის სახელზეც გაცემულია ბარათი და გახსნილია საბარათე ანგარიში ემიტენტ ბანკთან ხელშეკრულების საფუძველზე; ფიზიკური პირი_ საქართველოს/ უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი და/ან ინდივიდუალური მეწარმე;

ინდივიდუალური მეწარმე - არის ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. იგი სამართლებრივ ურთიერთობაში ჩართულია, როგორც ფიზიკური პირი და თავისი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. ფიზიკური პირი ინდ. მეწარმის სტატუს იძენს მეწარმეთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

რეზიდენტი ფიზიკური პირი_ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, ასევე ინდივიდუალური მეწარმე; არარეზიდენტი ფიზიკური პირი_ უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი და ასევე, მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი;

ოტპ კოდი _ one-time password (OTP) არის სისტემის მიერ ავტომატურად გენერირებული კოდი, რომელიც, იგზავნება მომხმარებლის ვერიფიცირებული მობილური ტელეფონის ნომერზე და რომელიც გამოიყენება პირის დამატებითი აუთენტიფიკაციისთვის, გარკვეული ოპერაციის შესრულებისას.
პირის იდენტიფიკაცია_ პირის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც იძლევა პირის მოკვლევის და მისი სხვა პირებისგან გარჩევის საშუალებას;

სადებეტო ტიპის ბარათი _ საბანკო პლასტიკური ბარათი, რომელიც საშუალებას იძლევა კრისტალთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, განიკარგოს ბარათზე მიმაგრებულ საბარათე ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხა და დაშვებული ოვერდრაფტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ბარათის პინ-კოდი ბარათის მფლობელის პერსონალური, კონფიდენციალური კოდი, რომელიც გამოიყენება როგორც ბარათის მფლობელის ავთენტიფიკაციის ერთ-ერთი ელემენტი. იგი გამოიყენება ბანკომატებსა და პოს-ტერმინალებში ტრანზაქციების შესასრულებლად (ბანკომატით შესრულებული ნებისმიერი ტრანზაქცია დასტურდება პინ-კოდით, პოს-ტერმინალით შესრულებული ტრანზაქცია შეიძლება დასტურდებოდეს პინ-კოდით).

ბანკომატი – თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ბარათით მოსარგებლეს შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა და სხვა ისეთი ოპერაციების წარმოება, როგორიცაა ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება და სხვა.

პოს-ტერმინალი -ბარათის მაგნიტური ზოლის და/ან მიკროჩიპის წამკითხავი ელექტრონული პროგრამულტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ბანკში ან სავაჭრო/ მომსახურების ობიექტებში, ბარათით გადახდის განსახორციელებლად ან თანხის გასატანად.
ბარათის მოქმედების ვადა – პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ბარათით ოპერაციების განხორციელება. ბარათის მოქმედების ვადა მითითებულია ბარათზე და იგი ძალაშია მითითებული ვადის (თვის) ბოლო კალენდარული დღის ჩათვლით (მაგალითად, თუ ბარათზე მითითებული ვადა არის 08/25, აღნიშნული ბარათი ძალაშია 2025 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით). ვადის ამოწურვის შემდეგ ბარათი უქმდება.

CVC _ბარათის სამნიშნა "ვერიფიკაციის კოდი", რომელიც დატანილია ბარათის უკანა მხარეს და გამოიყენება ელექტრონული (ინტერნეტ) შესყიდვების დროს.

ადგილობრივი (Local) სტოპ-სია - იმ ბარათების სია, რომლებზედაც ტრანზაქციები დაუშვებელია და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი, საქართველოს მასშტაბით.
საერთაშორისო სტოპ-სია - იმ ბარათების სია, რომლებზედაც ტრანზაქციები დაუშვებელია და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი, საქართველოს ფარგლებს გარეთ, შესაბამისი რეგიონების მიხედვით.

კონტრაქტიანი კლიენტი _ პროგრამული სტატუსი, რომელიც ნიშნავს, რომ კლიენტი დარეგისტრირებულია ყველა სავალდებულო ველის შევსებით და მასზე შესაძლებელია ისეთი ოპერაციების განხორციელება, როგორიცაა მაგალითად ანგარიშის გახსნა, სესხის გაცემა და სხვა.

ოფლაინ (Offline) ოპერაცია - ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ემიტენტთან დაკავშირების გარეშე; ოპერაციის ჩატარება შესაძლებელია საპროცესინგო ცენტრთან/ინტერნეტთან წვდომის გარეშე. კერძოდ არ ხდება დაკავშირება ემიტენტ ბანკთან და მონაცემების მიმოცვლა. ოპერაცია ტარდება ბარათზე ხელმისაწვდომი ნაშთის გადამოწმების გარეშე, თუმცა ფინანსური ანგარიშგება ბანკს წარედგინება რამდენიმე დღის შემდეგ. ასეთი ტიპის ოპერაციები სრულდება ძირითადად თვითმფრინავში ან მატარებელში.

ტრანსასაზღვრო ტრანზაქცია - ისეთი გადახდის ოპერაცია, რომელიც განხორციელდა კრისტალის ბარათით და მიმღების პროვაიდერი არის უცხოური საგადახდო მომსახურების პროვაიდერი.

არასანქცირებული ოვერდრაფტი -საბარათე მულტისავალუტო ანგარიშზე დადებით ნაშთზე ან დაშვებული ოვერდრაფტის თანხაზე მეტი თანხის გამოყენება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება მიკრობანკის მიერ კლიენტის საბანკო ანგარიშით, საბანკო პლასტიკური ბარათების მომსახურების პირობები და მომსახურების ფარგლებში არსებული უფლება-მოვალეობები, თანმდევი პასუხისმგებლობები.
2.2. ანგარიშ(ებ)ი და საბანკო ანგარიშები იხსნება კლიენტის განაცხადისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტების საფუძველზე (ბანკისთვის წარდგენის შემდეგ), რომელთა უტყუარობაზეც პასუხისმგებელია კლიენტი.
2.3 განაცხადით კლიენტი იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ამ ხელშეკრულების ყველა პირობას და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ამ ხელშეკრულებას.
2.4 კლიენტი კისრულობს და ადასტურებს თავის უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას, მასზედ რომ ეროვნულ და/ან უცხოურ ვალუტაში გახსნილი ანგარიშებიდან/ანგარიშებზე, საბარათე ანგარიშზე არ განახორციელოს მის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული გადახდის ოპერაციები, ასევე გამორიცხოს ამგვარი ოპერაციების განხორციელება მის ანგარიშზე/ანგარიშებიდან სხვა პირების მიერ, მიკრობანკში საგადასახდო/სამეწარმეო სტატუსის შესახებ ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე.
2.5. კლიენტი კისრულობს და ადასტურებს თავის უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას, მასზედ რომ ბარათს არ გამოიყენებს უკანონო მიზნებისთვის, მათ შორის იმ საქონლის და მომსახურების შესაძენად, რომელიც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. აღნიშნულზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.
2.6 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული საგადახდო მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიღება კლიენტს შეუძლია მიკრობანკის ფილიალ(ებ)ში/სერვისცენტრ(ებშ)ი ან/და საბანკო მომსახურების დისტანციური არხებით.

3.საბანკო ანგარიშ**(**ებ**)**ის გახსნა და სახეები
3.1. საბანკო ანგარიშის მომსახურების მისაღებად კლიენტი მიკრობანკს წარუდგენს წერილობით განაცხადს და მოთხოვნილ დოკუმენტაციას. მიკრობანკი უფლებამოსილია, განაცხადის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად კლიენტს მოსთხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციისა და/ან დოკუმენტაციის წარდგენა. განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიკრობანკი უხსნის ანგარიშ(ებ)ს კლიენტს განაცხადის/დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან არა უგვიანეს 3 (სამი) დღისა.

3.2. განაცხადით კლიენტი იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ამ ხელშეკრულების ყველა პირობას და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ამ ხელშეკრულებას.

3.3. განაცხადში დაფიქსირებული ინფორმაციის, ასევე წარდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

3.4. მიკრობანკი უფლებამოსილია, კლიენტს უარი განუცხადოს განაცხადის დაკმაყოფილებასა და შესაბამისად, მომსახურების გაწევაზე უარის მიზეზ(ებ)ის განმარტების გარეშე. კლიენტის მიერ განაცხადის

შევსება, აგრეთვე მიკრობანკისათვის დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა არ წარმოშობს მიკრობანკის ვალდებულებას, გაუწიოს კლიენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

3.5. ანგარიშ(ებ)ის გახსნა იმავდროულად გულისხმობს კლიენტისთვის მიკრობანკის მხრიდან საბანკო ანგარიშით სრულ საგადახდო მომსახურების გაწევის დაწყებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობის, მიკრობანკის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და სხვა რეგულირებებით დადგენილი წესებისა და ტარიფების დაცვით.

3.6 ანგარიშის გახსნის შესახებ ინფორმაცია კლიენტს მიეწოდება და ანგარიშიდან ოპერაციების განსახორციელებლად ანგარიშის რეკვიზიტები გადაეცემა ანგარიშის გახსნისთანავე.

3.7მიკრობანკი კლიენტს უხსნის:

3.7.1. მიმდინარე ანგარიშს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ერთვალუტიანი, ასევე მულტისავალუტო;

3.7.2. საბარათე ანგარიშს, რომელიც არის მულტისავალუტო

3.7.3. მიკრობანკში ასევე შესაძლებელია გაიხსნას სხვა ტიპის ანგარიშებიც, როგორიცაა სადეპოზიტო ანგარიში, რომლის მიმართ ასევე ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესები, თუ კონკრეტულად შესაბამისი საბანკო მომსახურების ფარგლებში არ იქნება მხარეთა შორის შეთახმებული განსხვავებული პირობები.

3.8. კლიენტს შეუძლია ერთდროულად ჰქონდეს როგორც ერთი, ასევე რამდენიმე ანგარიში, მათ შორის სხვადასხვა სახეობის, თუმცა ყველა შემთხვევაში უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთი ანგარიში (მიმდინარე ან საბარათე) ეროვნულ ვალუტაში.

3.9 დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge

4.ანგარიშთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციები**,** ფულადი ტრანზაქციები

4.1 მიკრობანკი ახორციელებს შემდეგ საბანკო ოპერაციებს ანგარიშზე და შესაბამისად, უწევს კლიენტს ამ ოპერაციებთან დაკავშირებულ შემდეგ საბანკო მომსახურებას:

4.1.1. ანგარიშზე რიცხავს როგორც კლიენტის, ისე სხვა პირის მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით შემოტანილ თანხას;

4.1.2. ანგარიშიდან გასცემს თანხას ნაღდი ანგარიშსწორებით;

4.1.3. ანგარიშზე რიცხავს კლიენტის მიერ მიკრობანკში გახსნილი მისი სხვა ანგარიშებიდან ან კლიენტის სხვა ბანკში არსებული ანგარიშებიდან, ასევე სხვა პირების მიერ კლიენტის სასარგებლოდ გადმორიცხულ თანხას;

4.1.4. საგადახდო დავალებების საფუძველზე ანგარიშიდან გადარიცხავს თანხას კლიენტის ანგარიშებზე რომლებიც გახსნილია მიკრობანკში და სხვა ბანკებში (წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის ბანკებში მოიაზრება როგორც კომერციული ბანკები, ასევე მიკრობანკები), ასევე კლიენტის მიერ

მითითებული მესამე პირების სასარგებლოდ როგორც მიკრობანკში, ასევე სხვა ბანკებში არსებულ ანგარიშებზე;

4.1.5. კლიენტის განცხადების/დავალების საფუძველზე ახორციელებს ვალუტის კონვერტაციას;

4.1.6. ახორციელებს სახაზინო/საბიუჯეტო გადარიცხვებს;

4.1.7. ახორციელებს სხვა გადახდის ოპერაციებს, მათ შორისის საბარათე გადახდას.

4.2. კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, მიკრობანკი დაუყოვნებლივ გასცემს ანგარიშის ამონაწერს, ცნობას, ხოლო დახურულ ანგარიშებთან ან სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით დოკუმენტებს - 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

4.3 საბანკო ოპერაციებში მესამე პირების მონაწილეობა დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით და საჭიროების შემთხვევაში, მინდობილობის წარმოდგენის საფუძველზე.

4.4 კლიენტის მიმდინარე ანგარიშ(ებ)ზე შეტანილი ან/და ჩარიცხული თანხ(ებ)ის ასახვას ან კლიენტის ანგარიშიდან თანხ(ებ)ის გადარიცხვას მიკრობანკი უზრუნველყოფს შესაბამისი დავალების მიკრობანკის მიერ მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. იმ შემთხვევაში თუ საგადახდო დავალების შესრულებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, საგადახდო დავალების შესრულებაზე არ მოქმედებს ამ პუნქტით გათვალისწინებული საგადახდო დავალების შესრულების ვადები. კლიენტის ანგარიშიდან თანხ(ებ)ის გადარიცხვა/გატანა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშზე არ არის რეგისტრირებული ყადაღა ან სხვა შეზღუდვა, რაც გამორიცხავს აღნიშნულ ტრანზაქციებს.

4.5 საგადახდო დავალების მიღების დროდ ითვლება მომენტი, როდესაც მიკრობანკი მიიღებს საგადახდო დავალებას, მიუხედავად იმისა, ის ინიცირებულია კლიენტის თუ მიმღების მიერ. საგადახდო დავალებას მიკრობანკი მიიღებს და შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის მიერ სრულად იქნება მიკრობანკის მიერ მოთხოვნილი რეკვიზიტები ან/და დოკუმენტაცია/ინფორმაცია შევსებული/მიწოდებული.

4.6 საბანკო დღის დასრულების შემდეგ მიკრობანკის მიერ კლიენტისგან მიღებული დავალებები ითვლება მეორე საბანკო დღეს მიღებულად, რაც არ წარმოადგენს შეზღუდვას მიკრობანკისთვის საგადახდო დავალების წარმოდგენის დღესვე შეასრულოს საგადახდო დავალება.

4.7 დაუშვებელია საგადახდო დავალების ნაწილობრივ შესრულება.

4.8 მიკრობანკის მიერ საგადახდო დავალების შესრულებისათვის კლიენტი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა ის რეკვიზიტი, რომელსაც საგადახდო დავალება უნდა შეიცავდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვრის №8/04 ბრძანებით დამტკიცებული „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის“ შესაბამისად.

4.9 ანგარიშზე თანხის ასახვა

4.9.1 მიკრობანკი ვალდებულია ქვეყნის შიგნით განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესაბამისი თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მხოლოდ მიმღების IBAN ფორმატის ანგარიშის მიხედვით.

4.9.2 თუ სახსრების ჩარიცხვა ხორციელდება საზღვარგარეთიდან, მიკრობანკი ვალდებულია ჩარიცხვა განახორციელოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №253/04

ბრძანებით დამტკიცებული „ფულადი სახსრების გადარიცხვის და ვირტუალური აქტივის გადაცემის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების“ შესაბამისად.

4.9.3 თუ მიმღების იდენტიფიცირება ვერ განხორციელდა 4.9.1 და 4.9.2 პუნქტებით განსაზღვრული რეკვიზიტების საფუძველზე, მიკრობანკი უფლებამოსილია აღრიცხოს მიღებული თანხა „გაურკვეველი თანხების ანგარიშზე“ და მიიღოს ზომები თანხის მიმღების დასადგენად. ქვეყნის შიგნით განხორციელებული ჩარიცხვის შემთხვევაში, თუ მიმღების დადგენა ვერ განხორციელდა თანხის ჩარიცხვიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში, თანხა უბრუნდება გადამხდელს საგადახდო დავალებაში მითითებული რეკვიზიტების შესაბამისად, აღნიშნული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. საზღვარგარეთიდან განხორციელებული ჩარიცხვის შემთხვევაში, თუ მიმღების დადგენა ვერ განხორციელდა 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს მეორე საბანკო დღეს თანხა უბრუნდება გადამხდელს საგადახდო დავალებაში მითითებული რეკვიზიტების შესაბამისად.

4.10 კლიენტი ვალდებულია მის ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ შეატყობინოს და გადასცეს მიკრობანკს შეცდომით ჩარიცხული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

4.11 კლიენტი ვალდებულია დაუბრუნოს მიკრობანკს ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხა. კლიენტის მიერ ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხის გამოყენების (სრულად ან ნაწილობრივ) და მიკრობანკის მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში თანხის არ დაბრუნების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს მიკრობანკს პირგასამტეხლო მოთხოვნის წარდგენიდან წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე პერიოდზე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული) დასაბრუნებელი თანხის 0.5 (ნული მთელი ხუთი მეათედი) %-ის მოცულობით.

4.12 მიკრობანკი უფლებამოსილია, საკუთარი გადაწყვეტილებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას არ მიიღოს ანგარიშზე შენატანი ან/და მოსთხოვოს კლიენტს ანგარიშის დახურვა.

4.13 ანგარიშიდან თანხების ჩამოწერა

4.13.1 მიკრობანკის მიერ ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხორციელდება წერილობითი (მათ შორის ელექტრონული) ფორმით კლიენტის თანხმობის, ნებართვის, დავალების, ან მოთხოვნის საფუძველზე, კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

4.13.2 კლიენტის მიერ მიკრობანკისთვის მიცემული დავალების გაუქმება შეიძლება წერილობითი (მათ შორის ელექტრონული) ფორმით, მიკრობანკთან შეთანხმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დავალება ჯერ არ შესრულებულა და მისი გაუქმება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ან იმ ვალდებულების არსს, რომლის შესასრულებლადაც გაიცა დავალება.

4.13.3 კლიენტის მიერ მიკრობანკისთვის მიცემული დავალების გაუქმება შეიძლება წერილობითი (მათ შორის ელექტრონული) ფორმით, მიკრობანკთან შეთანხმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დავალება ჯერ არ შესრულებულა და მისი გაუქმება არ

ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ან იმ ვალდებულების არსს, რომლის შესასრულებლადაც გაიცა დავალება.

4.13.4 კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს ანგარიშ(ებ)ზე საკმარისი სახსრების არსებობა, შესაბამისად მუდმივად ჰქონდეს ანგარიშზე ოპერაციის განხორციელების და საკომისიოს დაფარვისთვის აუცილებელი ოდენობის თანხა.

4.13.5 მიკრობანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს კლიენტის დავალება და დავალების შეუსრულებლობის შესახებ ნებისმიერი ფორმით შეატყობინოს კლიენტს, იმ შემთხვევაში თუ: ა) ვერ ხერხდება კლიენტის სრულფასოვანი იდენტიფიკაცია; ბ) დავალება შედგენილი ან წარდგენილია მიკრობანკში დადგენილი წესის დარღვევით ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას (მითითებებს); გ) დავალებაში აღნიშნული თანხა აღემატება ანგარიშზე არსებულ ხელმისაწვდომ თანხას ან მიკრობანკის მიერ დადგენილ ლიმიტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დ) კლიენტს არ აქვს გადარიცხვის განსახორციელად მიკრობანკის მიერ დაწესებული საკომისიოს თანხა; ე) მიკრობანკს გაუჩნდა ეჭვი კანონსაწინააღმდეგო ოპერაციის განხორციელების მცდელობის შესახებ; ვ) აღნიშნული გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან კლიენტს მიკრობანკის მიმართ გააჩნია ფულადი ვალდებულება (დავალიანება).

4.13.6 ოპერაციების შეჩერება კლიენტის ანგარიშზე და კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხის დაყადაღება, ხორციელდება შესაბამისი სახით გაფორმებული და უფლებამოსილი ორგანოების მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების საფუძველზე და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მიკრობანკი არ აგებს პასუხს ასეთ შემთხვევებში მიყენებულ ზიანზე.

4.13.7 მიკრობანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, უაქცეპტოდ ჩამოწეროს თანხები:

4.13.7.1 მოქმედი ტარიფების შესაბამისად მომსახურების საფასურის (საკომისიოს) ან/და პირგასამტეხლოს გადასახდელად;

4.13.7.2 შეცდომით ან/და კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით ჩარიცხული ან/და საეჭვო თანხ(ებ)ის უკან დასაბრუნებლად;

4.13.7.3 მიკრობანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის ვალდებულების (იგულისხმება როგორც ვადაგადაცილებული, ასევე ვადამოსული ფულადი ვალდებულება) დასაფარად. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების ვალუტა განსხვავდება ანგარიშზე არსებული ვალუტისაგან, ექვივალენტი დგინდება თანხის ჩამოწერის მომენტისათვის მიკრობანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით. ამასთან, მიკრობანკი განსაზღვრავს დაფარვის შემდეგ რიგითობას: საბანკო ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება, სხვა არასაკრედიტო პროდუქტებიდან გამომდინარე ვალდებულება, საკრედიტო პროდუქტებიდან გამომდინარე ვალდებულება და შემდგომ სალიზინგო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულება. კლიენტი აცნობიერებს, რომ მიკრობანკი არ არის ვალდებული კლიენტის დავალების გარეშე ჩამოწეროს თანხები კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან კლიენტის ვალდებულების შესრულების მიზნით;

4.13.7.4 მოქმედი კანონმდებლობით ან/და კლიენტსა და მიკრობანკს შორის დადებული ხელშეკრულებით, შეთანხმებით ან/და სხვა დოკუმენტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში (მაგალითად საინკასო დავალების არსებობისას).

4.13.8. კლიენტის ანგარიშებიდან თანხის ჩამოწერა ხდება შემდეგი წესების დაცვით:

4.13.8.1. პირველ რიგში თანხა ჩამოიჭრება კლიენტის მიმდინარე ან/და საბარათე ანგარიშ(ებ)იდან ;

4.13.8.2. მიმდინარე ანგარიშ(ებ)ზე თანხების არ არსებობის ან არასაკმარისი ოდენობით არსებობის შემთხვევაში თანხის ჩამოწერა მოხდება კლიენტის სხვა ნებისმიერ ტიპის ანგარიშ(ებ)იდან (მათ შორის

ნებისმიერი ტიპის სადეპოზიტო (ანაბრის) ანგარიშ(ებ)იდან, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა);

4.13.8.3. ამ პუნქტის " 4.13.8.1. ", ასევე " 4.13.8.2." ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში თანხის ჩამოწერა პირველ რიგში მოხდება არსებული ვალდებულების/დავალიანების ვალუტაში. აღნიშნულ ვალუტაში თანხების არ არსებობის ან არასაკმარისი ოდენობით არსებობის შემთხვევაში, მოხდება ლარში არსებული სახსრების ჩამოწერა, ხოლო ლარში სახსრების არ არსებობის ან არასაკმარისი ოდენობით არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება ნებისმიერ ვალუტ(ებ) ში არსებული თანხა, მიკრობანკის არჩევით.

4.13.9. როდესაც ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება ვალდებულების ვალუტისაგან, ასევე გადახდის ოპერაციის შესრულებისას თუ საჭირო გახდა ვალუტის კონვერტაცია, ან სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, მიკრობანკში ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია იწარმოებს მიკრობანკის კომერციული გაცვლითი კურსით და აღნიშნული არ საჭიროებს კლიენტის მხრიდან დამატებით დავალებას. კლიენტს შეუძლია გაეცნოს ვალუტის გაცვლით კურსებს, რომელიც ხელმისაწვდომია მიკრობანკის ფილიალებში/სერვისცენტრებში და ოფიციალურ ვებგვერდზე: https://crystal.ge/valutis-kursebi/.

4.13.10 საინკასო დავალების არსებობის შემთხვევაში თანხის ჩამოწერა თავდაპირველად განხორციელდება იმ ანგარიშიდან, რა ვალუტითაც არის წარდგენილი უდავო წესით გადასახდელი თანხა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საინკასო დავალება კონკრეტულ ანგარიშზეა წარმოდგენილი). თუ წარდგენილი ვალუტით არ არის საკმარისი თანხა შესაბამის ანგარიშზე, საინკასო დავალება შესრულდება კლიენტის სხვა ვალუტის ანგარიშებიდანაც. სხვა ვალუტით გახსნილი ანგარიშიდან თანხების ჩამოწერის შემთხვევაში, კონვერტაცია ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, ხოლო მიკრობანკსა და კლიენტს შორის ანგარიშსწორების საკომისიო (გადარიცხვის საკომისიო, კონვერტაციის საკომისიო) განისაზღვრება მიკრობანკის მიერ დადგენილი ტარიფებით.

5. ანგარიშების და საბანკო პლასტიკური ბარათის ტარიფები, საკომისიო

5.1. კლიენტი იხდის მიკრობანკის მიერ დადგენილ საფასურს, სხვადასხვა საკომისიო(ებ)ს და/ან სხვა სახის გადასახდელ თანხებს, მიკრობანკის მიერ დადგენილი ტარიფებით.

5.2. ანგარიშის გახსნისა და ანგარიშის ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კლიენტი იხდის ეროვნულ ვალუტაში ანგარიშის ვალუტის მიუხედავად, ხოლო გადარიცხვისა და თანხის გატანის საკომისიოს - ტრანზაქციის ვალუტაში.

5.3 ანგარიშზე მომსახურების საკომისიო:

5.3.1 მიმდინარე ანგარიშის გახნისა და ანგარიშის მომსახურების პირველი თვის საკომისიოს კლიენტი იხდის მყისიერად, ანგარიშის გახსნისთანავე. ანგარიშის მომსახურების მომდევნო თვის საკომისიოს კი - ანგარიშის გახსნის თარიღიდან ყოველი მომდევნო თვის იმავე რიცხვში, ხოლო აღნიშნულ თვეში ამ რიცხვის არარსებობისას -მომდევნო კალენდარულ დღეს.

5.3.2.თუ მიკრობანკის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, საბანკო პლასტიკური ბარათის საკომისიოს კლიენტი სრულად იხდის საბარათე ანგარიშის გახსნისას (ინფორმაცია საკომისიოს შესახებ განთავსებულია კრისტალის ვებ გვერდზე: https://crystal.ge/kristalis-sadebeto-barati/; https://crystal.ge/product/tarifebi-fizikuri-da-iuriduli-pirebistvis/).

5.4. კლიენტი ვალდებულია ყოველი ოპერაციის/ტრანზაქციის განხორციელების და გარიგების დადების წინ გაეცნოს ტარიფებს. ყველა შემთხვევაში, პირველ რიგში, წინასწარ უნდა იქნას დაფარული მიკრობანკის

საკომისიო(ები)/ საფასური/სხვა გადასახდელი თანხები, წინააღმდეგ შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ნებისმიერი სახის მომსახურების გაწევაზე/საბანკო პროდუქტის მიწოდებაზე (მათ შორის, გადარიცხვაზე და ა.შ.).

5.5. თუ კლიენტს არ უფიქსირდება საკომისიოს დასაფარი სრული თანხა, ანგარიშზე არსებული თანხის ოდენობით ნაწილობრივ დაიფარება საკომისიო, ხოლო დარჩენილი თანხა დარჩება კლიენტს დავალიანებაში და დაიფარება დავალიანების ხანდაზმულობის მიხედვით, თუ მიკრობანკის მიერ არ განისაზღვრება სხვა დამატებითი წესი.

5.6. კლიენტი ადასტურებს, რომ მიიღო, გაეცნო და ეთანხმება ოფიციალურ ვებგვერდზე: https://crystal.ge/kristalis-sadebeto-barati/ ; https://crystal.ge/product/tarifebi-fizikuri-da-iuriduli-pirebistvis/ განთავსებულ ტარიფებს, საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6. ანგარიშთან დაკავშირებით მხარეთა ვალდებულებები**,** პასუხისმგებლობები

6.1 კლიენტი ვალდებულია**:**

6.1.1. ისარგებლოს საბანკო ანგარიშებით მხოლოდ დადგენილი პირობების შესაბამისად;

6.1.2. საბანკო ანგარიშებით სარგებლობისას უზრუნველყოს მიკრობანკის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების ზომების ზედმიწევნით დაცვა, განახორციელოს გადაცემული პერსონიფიცირებული მონაცემების უსაფრთხოდ შენახვა, ისე რომ არ შეუწყოს ხელი მესამე პირის მიერ მათ არამართლზომიერ გამოყენებას;

6.1.3. ყოველი ახალი ანგარიშის გახსნის განაცხადთან ერთად მიკრობანკს წარუდგინოს მიკრობანკის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები კლიენტის საგადასახადო/სამეწარმეო სტატუსის შესაბამისად;

6.1.4. საკუთარი პერსონალური მონაცემების, მათ შორის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის, საცხოვრებელი ადგილის / მისამართის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიკრობანკს განხორციელებული ცვლილების თაობაზე და წარუდგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;

6.1.5. მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მიკრობანკს საბანკო ოპერაციებთან / კლიენტთან დაკავშირებული ყველა საბუთი და ინფორმაცია;

6.1.6. დროულად გადაიხადოს მომსახურების საფასური (საკომისიო).

6.2 მიკრობანკი ვალდებულია**:**

6.2.1. მიიღოს ყველა შესაძლო ზომა საბანკო ანგარიშების დაცულობისა და არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად;

6.2.2. არ გახადოს უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლები ხელმისაწვდომი სხვა პირებისთვის, გარდა კლიენტისა;

6.2.3. ნათლად გააცნოს მომხმარებელს საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების მოთხოვნები;

6.2.4. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში მიკრობანკი ვალდებულია წარდგენისთვანავე მიაწოდოს მას ანგარიშის მითვისების / არაუფლებამოსილი გამოყენების თაობაზე შეტყობინების მიღების დასტური; 6.2.5. მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ;

6.2.6. შეასრულოს კლიენტის დავალებები ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3 მიკრობანკი ასევე ვალდებულია გადახდის ოპერაციის თანხით გადამხდელის ანგარიშის დადებეტების ან მიმღების ანგარიშის დაკრედიტების შემდეგ, წერილობით ან ელექტრონულად კლიენტისთვის გახადოს ხელმისაწვდომი შემდეგი სახის ინფორმაცია:

6.3.1. გადახდის ოპერაციის (ტრანზაქციის) უნიკალური კოდი ან სხვა მონაცემების ერთობლიობა, რომელიც იძლევა ოპერაციის იდენტიფიკაციის (სხვა ოპერაციებისაგან გამორჩევის) საშუალებას;

6.3.2. გადახდის ოპერაციის თანხა და ვალუტა, რომელშიც მოხდა საგადახდო დავალების შესრულება / მიმღების ანგარიშის დაკრედიტება;

6.3.3. გადასახდელი/გადახდილი ყველა საკომისიო;

6.3.4. თუ გადახდის ოპერაციის შესრულება (მათ შორის ანგარიშზე ჩარიცხვა) დაკავშირებულია ვალუტის კონვერტაციასთან, მაშინ გადახდის ოპერაციის შესასრულებლად გამოყენებული ვალუტის გაცვლითი კურსი და კონვერტაციის შედეგად მიღებული თანხა და ვალუტა, ასევე კონვერტაციამდე არსებული თანხა და ვალუტა;

6.3.5. საგადახდო დავალების მიღების / ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის თარიღი.

6.4 მიკრობანკი უფლებამოსილია მოახდინოს კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ის ბლოკირება, ანგარიშ(ებ)ზე/ანგარიშ(ებ)იდან შეზღუდოს აქტიური ოპერაციები (თანხის შეტანა, გატანა, ჩარიცხვა, გადარიცხვა, კონვერტაცია და სხვ.) მათ შორის, შეუზღუდოს კლიენტს ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებზე (სრულად ან ნაწილობრივ) წვდომა, იმ შემთხვევაში, თუ მიკრობანკი ახორციელებს მოკვლევას, რომელიც გათვალისწინებულია „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებით, კლიენტის მიმართ გამოყენებულია შესაბამისი საერთაშორის სანქცია, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შესაძლოა ფულადი სახსრები მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით ან/და შესაძლოა გამოყენებულ იქნას კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის.

6.5 თითოეული მხარე პასუხს აგებს საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო შესაბამისად მეორე მხარისათვის მიყენებულ პირდაპირ ზიანზე.

6.6 კლიენტი უფლებამოსილია მიკრობანკს წერილობით მოსთხოვოს არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული გადახდის ოპერაციის მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება, თუ არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ოპერაციის თანხით ანგარიშის დადებეტებიდან არ გასულა 13 თვეზე მეტი და კლიენტმა არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის აღმოჩენიდან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე შეატყობინა (წერილობით ან მიკრობანკის ვებ.გვერდზე მითითებულ საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე) მიკრობანკს ამგვარი ოპერაციის შესახებ.

6.7 მიკრობანკი არ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის (მათ შორის კლიენტის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო გადარიცხვებთან დაკავშირებით) თუ:

6.7.1. ეს გამოწვეულია კლიენტის მიერ საგადახდო დავალების რეკვიზიტების არასწორად/არასრულად მითითებით;

6.7.2. ეს გამოწვეულია კლიენტის საგადახდო დავალებაში ან სხვა რომელიმე საბუთში აღნიშნული მიმღები ან/და შუამავალი ბანკის ნებისმიერი ქმედებით ან/და შეცდომით ან/და ბანკისაგან დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით;

6.7.3. ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;

6.7.4. იმ სახელმწიფოზე, რომლის ტერიტორიაზეც მოქმედებს თანხის მიმღების მომსახურე ბანკი, ვრცელდება ემბარგო ან/და სხვა რაიმე შეზღუდვა, რაც აფერხებს მიმღების მიერ თანხის მიღებას;

6.7.5. საკორესპოდენტო ბანკი (რომლის მეშვეობითაც სრულდება გადარიცხვა) უარს განაცხადებს ოპერაციის შესრულებაზე ან/და მოხდება გადასარიცხი თანხის დაკავება/ბლოკირება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის ან/და სხვა მიზნით.

6.8 მიკრობანკი არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია:

6.8.1. კლიენტის დავალებით ოპერაციის განხორციელებით;

6.8.2. კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ტელეფონის აპარატის ან/და სხვა მოწყობილობისა თუ აღჭურვილობის (მათი რომელიმე ნაწილის ან/და აქსესუარის) ან/და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართავობით;

6.8.3. ტელეკომუნიკაციების ოპერატორის, ინტერნეტ-პროვაიდერის ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიზეზით;

6.8.4. კლიენტის მიერ განაცხადის ან/და განცხადების არასწორი ან არასრულყოფილი შევსებით;

6.8.5. კლიენტის მიერ მიკრობანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის უსწორობით ან/და უზუსტობით;

6.8.6. კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;

6.8.7. მიკრობანკის მიერ გაცემული რეკომენდაციების კლიენტის მიერ შეუსრულებლობით.

6.9 კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ საერთაშორისო გადარიცხვის შესრულების პროცესში მას შესაძლებელია დაეკისროს მიმღები ან/და საკორესპოდენტო ბანკის მიერ დადგენილი დამატებითი საკომისიო. მიკრობანკი არ არის პასუხისმგებელი საკორესპოდენტო ან/და მიმღები ბანკის მიერ ჩამოჭრილი/გამოქვითული/დაკავებული/დაბლოკილი საკომისიოს, მიმღები ან/და საკორესპოდენტო ბანკის მიერ დაწესებული დამატებითი საკომისიოს ან/და სხვა ნებისმიერი გადასახადის გამო, მათ შორის, საგადახდო დავალების მიკრობანკისგან დამოუკიდებელი მიზეზით წარუმატებლად შესრულების შემთხვევაში თანხის არასრულად დაბრუნების გამო.

7. ბარათით მომსახურების სპეციალური დებულებები

7.1. წინამდებარე მუხლზე (მუხლი 7) ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობები, თუ მე-7 მუხლის პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.2. ბარათით მომსახურება გულისხმობს მიკრობანკის მიერ ემიტირებული მასტერქარდ (MasterCard) სადებეტო ტიპის ბარათით კლიენტი ფიზიკური პირის (წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის შემდგომ „კლიენტი“) მიერ საბარათე ოპერაციების განხორციელებას.

7.2.1. ბარათი შესაძლებელია გაიცეს ნებისმიერ სრულწლოვან, როგორც რეზიდენტ, ისე არარეზიდენტ ფიზიკურ პირზე (18 წელი და ზემოთ), მინდობილობით ბარათის შეკვეთა და ბარათის გაცემა არ არის დაშვებული.

7.3ბარათი წარმოადგენს მიკრობანკის საკუთრებას. ბარათით სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება ბარათზე მითითებული ვადით. მოქმედების ვადა იწურება ბარათზე მითითებული თვის ბოლო დღის გასვლის შემდეგ. დაუშვებელია ბარათის მოქმედების ვადის გაზრდა/შემცირება.

7.4 მიკრობანკის მიერ საბანკო პლასტიკური ბარათებით მომსახურების პირობები და წესები ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

7.5. მიკრობანკი უფლებამოსილია ბარათებთან დაკავშირებით პერიოდულად განახორციელოს წამახალისებელი პროექტები/პროგრამები, რომლის წესები, პირობები და სხვა წინასწარ იქნება გაზიარებული შესაბამის არხებში.

7.1. საბარათე ანგარიში

7.1.1.ბარათით ოპერაციების წარმოების მიზნით, კლიენტი ფიზიკური პირის განცხადების საფუძველზე, აღნიშნული განცხადებით ეთანხმება ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პირობებს, მიკრობანკი უხსნის კლიენტს ანგარიშს (შემდგომ **“**საბარათე ანგარიში**”**), უმზადებს ბარათ(ებ)ს და უწევს თანმდევ მომსახურებას, ხოლო კლიენტი საბარათე ანგარიშით სარგებლობისთვის კისრულობს ვალდებულებას დაიცვას

წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობები. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს ბარათის საკომისიო, რომლის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია კრისტალის ვებ გვერდზე https://crystal.ge/kristalis-sadebeto-barati/

7.1.2. საბარათე ანგარიშის გახსნისას მასზე იხსნება მულტისავალუტო ანგარიში, რაც გულისხმობს ერთდრულად რამოდენიმე ვალუტის არსებობას ლარი, აშშ დოლარი და ევრო.

7.1.3. კლიენტს შეუძლია ბარათზე არაუმეტეს ერთი მულტისავალუტო ანგარიშის მიბმა.

7.1.4. ბარათზე მიბმული ერთ-ერთი ვალუტის ანგარიში განისაზღვრება ძირითად (პრიორიტეტულ) ვალუტის ანგარიშად.

7.1.5. საბარათე ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნაშთ(ებ)ის შესახებ ინფორმაციას კლიენტი იღებს ოპერატორთან ან/და კლიენტთა მომსახურების ცენტრში, იმ ვალუტაში, რომელიც განსაზღვრულია როგორც პრიორიტეტული ვალუტა, შესაბამისი დღისათვის მოქმედი მიკრობანკის ოფიციალური კურსის შესაბამისად.

7.1.6. საბარათე ანგარიშზე ტრანზაქციის განხორციელებისას, თუ ბარათით შესაძლებელია სხვადასხვა ვალუტის თანხის გამოყენება, საბარათე ოპერაციების ანგარიშზე ასახვა (და შესაბამისი თანხის ჩამოჭრა) განხორციელდება პირველ რიგში იმ ვალუტაში, რა ვალუტაშიც განხორციელდა ოპერაცია. თუ ტრანზაქციის განხორციელებისას ოპერაციის თანხა აღემატება დავალებაში მითითებული ვალუტის ანგარიშზე არსებულ ნაშთს (ან ამ ვალუტაში საერთოდ არ ირიცხება ნაშთი), მოთხოვნილი თანხა სრულად ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან, თუმცა მითითებულ ვალუტაში წარმოიქმნება უარყოფითი ნაშთი არასაკმარისი თანხის ნაწილში. აღნიშნული უარყოფითი ნაშთი იფარება პრიორიტეტული ვალუტის თანხის კონვერტაციის გზით, მიკრობანკის კომერციული კურსის შესაბამისად. თუ პრიორიტეტულ ვალუტაში არ არსებობს საკმარისი ნაშთი, მაშინ უარყოფითი ნაშთი იფარება მომდევნო რიგის პრიორიტეტული ვალუტის თანხის კონვერტაციის გზით, მიკრობანკის კომერციული კურსის შესაბამისად.

7.1.7. საბარათე ანგარიშზე გადახდის ოპერაცია ავტორიზებულად მიჩნეული იქნება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გადამხდელის თანხმობა ოპერაციის განხორციელებაზე (თუკი საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული). ბარათის გამოყენებით ტრანზაქციის შესრულებაზე კლიენტის მიერ თანხმობა შესაძლოა გაცემული იყოს ბარათის უკონტაქტო წამკითხველზე დაფიქსირებით, შესაბამის მოწყობილობაში/სისტემაში წვდომის კოდ(ებ)ის (მათ შორის, ბარათის PIN კოდის, ბარათის 16 ნიშნა კოდის, ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღის, ბარათის CVC ან CVV კოდის, ბარათის ნებისმიერი რეკვიზიტის, ან/და ამ რეკვიზიტების ერთობლიობის ან/და 3D უსაფრთხოების კოდის ან/და ბანკის მიერ დადგენილი სხვა მექანიზმით, რომელიც გადაეცემა უშუალოდ კლიენტს და რომლის კონფიდენციალობაზე /უსაფრთხოდ შენახვაზე პასუხისმგებელია კლიენტი) შეყვანით.

7.2 ანგარიშის მოქმედების პირობები

7.2.1 საბარათე ანგარიშებზე დაიშვება მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული ოპერაციები, მათ შორის, როგორც უშუალოდ საბარათე ანგარიშიდან, ასევე ბარათის მეშვეობით და დისტანციური ან ელექტრონული მომსახურების სისტემების გამოყენებით.

7.2.2 კლიენტი უფლებამოსილია გამოიყენოს მის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხა, მინიმალური ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბარათის მოხმარებასთან დაკავშირებული საკომისიოების გამოკლებით. თანხის გადახარჯვის შემთხვევაში ძირითად თანხას ასევე გამოაკლდება გადახარჯვასთან დაკავშირებული საკომისიო(ები) ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7.2.3 საბარათე ანგარიშის გამოყენება შეიძლება დამატებით შეზღუდულ იქნას მიკრობანკის მხრიდან შესაბამისი დღიური ან სხვა ლიმიტების შემოღების გზით. ამასთან, მიკრობანკი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს განაღდების დღიური ან/და სხვა სახის ლიმიტის ცვლილებაზე. დღიური ლიმიტის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია კრისტალის ვებ გვერდზე https://crystal.ge/kristalis-sadebeto-barati/;

7.2.4 საბარათე ანგარიშზე თანხა შეიძლება ჩაირიცხოს როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.2.5 ბარათით, მისი რეკვიზიტებით, პოს-ტერმინალით, ელ.კომერციით, ბანკომატით ოპერაციის შესრულებისას:ოპერაციის შესრულებისთანავე მიკრობანკი ახდენს ტრანზაქციის თანხის ბლოკირებას. ბარათით განხორციელებული ტრანზაქციები გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება კლიენტის საბარათე ანგარიშზე. ბარათით შესრულებული ოპერაციის ფაქტობრივი თარიღი განსხვავდება საბარათე ანგარიშზე მისი ასახვის თარიღისაგან. ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების შესაბამისი თანხის დაბლოკვა შესაბამის საბარათე ანგარიშზე ხდება ონ-ლაინ რეჟიმში, ხოლო ასახვა (ანგარიშსწორება) – გარკვეული პერიოდის (2 – 180 დღე) შემდეგ, მასტერქარდის (MasterCard) წესების შესაბამისად (ვადა დამოკიდებულია ტრანზაქციის შინაარსზე/ტიპზე, აგრეთვე ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელზე). ბლოკი შეიძლება მოიხსნას ზემოთ აღნიშნულ ვადაზე ადრეც. მიკრობანკი არ არის პასუხისმგებელი მასტერქარდის (MasterCard) მიერ ოპერაციის დამუშავების/ანგარიშსწორების ვადებთან დაკავშირებით კლიენტისთვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე.

7.2.6 მიკრობანკისა და მეგობარი ქსელის ბანკის ბანკომატებსა და პოს-ტერმინალებში ბანკის დასახელება მოცემულია მიკრობანკის ვებგვერდზე https://crystal.ge/mikrobankma-kristalma-pirveli-plastikuri-baratebi-gamoushva/) ბარათით განხორციელებული განაღდება/გადახდის ტრანზაქცია სტანდარტულად ანგარიშზე აისახება მომდევნო საბანკო დღეს.

7.2.7 ინტერნეტით შესრულებული გადახდა და სხვა ბანკის (ბანკი, რომელიც არ არის მიკრობანკის მეგობარი ქსელის ბანკი. მიკრობანკის მეგობარი ქსელის ბანკები მოცემულია ბანკის ვებგვერდზე https://crystal.ge/kristalis-sadebeto-barati/ ბანკომატების, პოს-ტერმინალების ქსელში ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია საბარათე ანგარიშზე აისახება შესაბამისი საგადამხდელო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების შემდეგ.

7.2.8 საბარათე ანგარიშზე თანხის შეტანის ტრანზაქცია საბართე ანგარიშზე აისახება იმავე დღეს.

7.2.9 მიკრობანკი ვალდებულია დაიცვას კლიენტთან დაკავშირებული საბარათე ანგარიშების ოპერაციების კონფიდენციალურობა, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის კლიენტთან საქმიანი ურთიერთობისას. გამონაკლისს წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები.

7.2.10ბარათით განხორციელებულ ტრანზაქციებს მიკრობანკი აკონტროლებს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, რაც ნიშნავს იმას, რომ მიკრობანკს უფლება აქვს, დროებით შეაჩეროს ტრანზაქცია ან/და ბარათის მოქმედება საეჭვო ტრანზაქციების დაფიქსირებისას (მონიტორინგი). მიკრობანკი ასევე უფლებამოსილია, დაბლოკოს ბარათი ან/და საბარათე ანგარიში (შეაჩეროს ოპერაციები) იმ შემთხვევაში, თუ მიკრობანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ ბარათის გამოყენებით ან საბარათე ანგარიშზე ხორციელდება ან/და განხორციელდა არასანქცირებული ან/და მართლსაწინააღმდეგო ოპერაცია.

7.2.11 მიკრობანკი უფლებამოსილია საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები კლიენტის საბარათე ოპერაციებზე.

7.3 საბარათე ანგარიშზე რიცხული თანხები**,** არასანქცირებული ოვერდრაფტი

7.3.1 საბარათე ანგარიშზე რიცხული თანხების განკარგვა დასაშვებია მიკრობანკის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, ხოლო მინიმალური ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თავისუფალი განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ ანგარიშთან დაკავშირებული ყველა ბარათის გაუქმების შემთხვევაში მიკრობანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

7.3.2 თანხის განაღდება ნებისმიერი ბანკის ბანკომატით_დასტურდება პინ კოდით.

7.3.3 ბარათით შესრულებული ფაქტობრივი ოპერაციის თარიღი განსხვავდება საბარათე ანგარიშზე მისი ასახვის თარიღისაგან და დამოკიდებულია ტრანზაქციის ტიპზე და ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელზე, თუმცა ანგარიშზე თანხა იბლოკება ტრანზაქციის განხორციელებისთანავე:

7.3.4 ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში ბარათით განხორციელებული განაღდება/გადახდის ტრანზაქცია საბარათე ანგარიშზე აისახება არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, თუმცა თანხა იბლოკება ტრანზაქციის განხორციელებისთანავე;

7.3.5 საბარათე ანგარიშზე თანხის შეტანის ტრანზაქცია საბარათე ანგარიშზე აისახება იმავე დღეს;

7.3.6.ინტერნეტით შესრულებული გადახდა საბარათე ანგარიშზე აისახება შესაბამისი საგადამხდელო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების შემდეგ. აღნიშნული ტრანზაქციის დამუშავების მაქსიმალური ვადა, როგორც წესი, არის 30 კალენდარული დღე.

7.3.7. ინტერნეტით შესყიდვებისას, შესრულებული ტრანზაქცია არ საჭიროებს პინ-კოდით დადასტურებას. თუმცა შესაძლოა საჭიროებდეს CVC კოდის მითითებას და 3D კოდი . ყველა ვებ-გვერდი არ ითვალისწინებს ტრანზაქციის CVC კოდით დადასტურებას.

7.3.8 იმ შემთხვევაში, როდესაც ბარათით თანხების განკარგვა (ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების წესით) განხორციელდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, მაშინ საბარათე ანგარიშიდან მოხდება თანხის ჩამოწერა კონვერტაციის გზით. კონვერტაცია მიკრობანკის ქსელში მოხდება ტრანზაქციის განხორციელების მომენტისთვის მიკრობანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით, ხოლო ქსელის გარეთ მასტერქარდის (MasterCard) მიერ დაწესებული კურსით.

7.3.9 არასანქცირებული ოვერდრაფტი არის მიკრობანკის თანხმობის (ნებართვის) გარეშე საბარათე ანგარიშზე წარმოშობილი უარყოფითი ნაშთი (დავალიანება). ბარათზე თანხის გადახარჯვის და არასანქცირებულ ოვერდრაფტზე გასვლის მომენტიდან, კლიენტი ვალდებულია დაფაროს არასანქცირებული ოვერდრაფტის თანხა, აღნიშნულის თაობაზე შეტყობინებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია დაბლოკოს საბარათე ანგარიში და არასანქცირებული ოვერდრაფტის თანხა ჩამოწეროს კლიენტის ნებისმიერი, მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშიდან.

7.3.10 იმ შემთხვევაში, თუ ბარათი დაკავშირებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტიან ანგარიშთან და ერთერთი ვალუტის ანგარიშზე არსებობს არასანქცირებული ოვერდრაფტი, აღნიშნულ ბარათზე დაკავშირებულ რომელიმე ანგარიშზე ნაშთის არსებობის შემთხვევაში ან თანხის შეტანისას/ჩარიცხვისას, მოხდება თანხის კონვერტაცია და არასანქცირებული ოვერდაფტის დაფარვა (კონვერტაცია განხორციელდება საბანკო ოპერაციის განხორციელების დღეს მიკრობანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით). ამავდროულად, ანგარიშ(ებ)ზე არსებული არასანქცირებული ოვერდრაფტის დაფარვის მიზნით, მიკრობანკი უფლებამოსილია შესაბამისი ოდენობის თანხა უაქცეპტო წესით (კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე) ჩამოწეროს მიკრობანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან (წინამდებარე ხელშეკრულების

4.13.7 ქვეპუნქტით „4.13.7.3.“ ნაწილით განსაზღვრული კურსით).

7.4 ბარათის მიღების და გააქტიურების წესი

7.4.1 ბარათის მისაღებად კლიენტმა ფიზიკურმა პირმა მიკრობანკს უნდა წარუდგინოს სათანადოდ შევსებული და დამოწმებული წერილობითი განაცხადი, მიკრობანკის მიერ განსაზღვრული ფორმით და გადაიხადოს ბარათის მომსახურების საკომისიო, რის შემდეგადაც კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად გაიცემა ორი სახის ბარათი არაპერსონიფიცირებული ან/და პერსონიფიცირებული. არაპერსონიფიცირებული ბარათის გაცემა მომხმარებელზე შესაძლებელია შეკვეთისთანავე, ხოლოპერსონიფიცირებული ბარათი გაიცემა შეკვეთიდან მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.4.2 პერსონიფიცირებულ ბარათს მიკრობანკი გადასცემს დალუქულ კონვერტში, ხოლო პინ-კოდი განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით . ბარათი წარმოადგენს მიკრობანკის საკუთრებას. კლიენტმა პინ-კოდი შესაძლებელია სს ,,თიბისი ბანკის“ ბანკომატის გამოყენებით შეცვალოს. სხვა ბანკის ბანკომატით პინის ცვლილება ვერ მოხერხდება.

7.4.2.1. ბარათის გააქტიურება ხდება კლიენტის მიერ სს ,,თიბისი ბანკის“ ბანკომატზე ნებისმიერი ოპერაციით, რომელიც მოითხოვს პინ კოდის გამოყენებას.

7.4.2.2. პინ კოდის შემდგომი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს, სს ,, თიბისი ბანკის“ ბანკომატებში; 7.4.2.3.კლიენტის მიერ ბარათის პინ კოდის დავიწყების შემთხვევაში მისი განახლების მოთხოვნა დასაშვებია ფილიალში მომხმარებელთა მომსახურების ოპერატორთან.

7.4.3.ერთდროულად ერთი კლიენტის აქტიური (მათ შორის დაბლოკილი) ბარათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10-ს.

7.4.4. მიკრობანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ბარათის დამზადებაზე/განახლებაზე მიზეზის მითითების გარეშე.

7.5 საბარათე ანგარიშის და ბარათის დახურვა**,** ფიზიკური განადგურება

7.5.1.საბარათე ანგარიში იხურება:

7.5.1.1. კლიენტის პირადი სურვილით

7.5.1.2. ბანკის მოთხოვნით.

7.5.2. ბარათი იხურება, ფიზიკურად ნადგურდება:

7.5.2.1. კლიენტის პირადი სურვილით (მაგ: ბარათი არის დაზიანებული, მფლობელმა შეიცვალა სახელი /გვარი და სხვა).

7.5.2.2.ბანკომატის მიერ დაკავებული ბარათი არ წაიღო კლიენტმა ფილიალიდან, 1 თვის ვადაში;

7.5.2.3. დამზადებული ბარათი არ წაიღო კლიენტმა ბარათის შეკვეთის შემდეგ, 6 თვის ვადაში. ასეთ შემთხვევაში, კლიენტს ბარათის მომსახურების საკომისიო არ უბრუნდება.

7.5.2.4. წინამდებარე ხელშეკრულების ან/და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7.6.ბარათით სარგებლობის პირობები**,** ბარათის დაბლოკვა

7.6. 1.ბარათის სარგებლობის პირობები რეგულირდება საბანკო კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით. ბარათით სარგებლობასთან და მომსახურებასთან დაკავშირებული დამატებითი წესები და პირობები რეგულირდება მასტერქარდის (MasterCard) პროცედურებითა და წესებით, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია საგადამხდელო სისტემის ვებგვერდზე - https://www.mastercard.com/us/en/business/support/rules.html, ასევე ბარათის მოხმარების წესები და რეკომენდაციები მოცემულია მიკრობანკის ვებგვერდზე https://crystal.ge/kristalis-sadebeto-barati/.

7.6.2.მიკრობანკის მიერ ემიტირებული ბარათების უსაფრთხოების პირობები, მოთხოვნები, შეზღუდვები, შესაძლო რისკები, ბარათის დაბლოკვის საკითხები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და მიკრობანკის ოფიციალურ ვებგვერდზე https://crystal.ge/kristalis-sadebeto-barati/განთავსებული საინფორმაციო მასალებით, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.6.3.დაუშვებელია ბარათის სხვა პირისათვის გადაცემა (გამჟღავნება). ნებისმიერ სადავო ოპერაციაზე, რომლის მიზეზიც იქნება ბარათის დაკარგვა, პინ კოდის გამოყენება და ა.შ. პასუხისმგებლობა (ფინანსური) ეკისრება კლიენტს.

7.6.4.ბარათით მოქმედების ვადა განისაზღვრება ბარათზე მითითებული ვადით. მოქმედების ვადა იწურება ბარათზე მითითებული თვის ბოლო დღის გასვლის შემდეგ. ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში ბარათი უქმდება.

7.6.5.ბარათი არ შეიძლება გამოყენებული იქნას უკანონო მიზნებისთვის, მათ შორის იმ საქონლის და მომსახურების შესაძენად, რომელიც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

7.6.6.კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ თუ ის ფლობს მიკრობანკის მიერ ემიტირებულ ისეთ ბარათს, რომელიც იძლევა ბარათსა და ბარათის წამკითხველ მოწყობილობას შორის უკონტაქტო კავშირის დამყარებით ტრანზაქციის განხორციელების შესაძლებლობას, მიკრობანკის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ასეთი ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების ავტორიზაცია ხდება ბარათის პინ კოდის გარეშე, მხოლოდ ბარათის და ბარათის წამკითხველს შორის დისტანციური კავშირის დამყარების საშუალებით. ლიმიტების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია მიკრობანკის ოფიციალურ ვებგვერდზე https://crystal.ge/kristalis-sadebeto-barati/ განთავსებულ საინფორმაციო მასალებში, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

7.6.7. ბარათი აღჭურვილის 3D უსაფრთხოების სერვისით.

7.6.7.1. 3D უსაფრთხოების სერვისი არის საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების (MasterCard) მიერ შემუშავებული ბარათის უსაფრთხოების სავალდებულო დამატებითი საშუალება, რომელიც უფრო მეტად დაცულს ხდის ინტერნეტ სივრცეში პლასტიკური ბარათით შესყიდვის პროცესს. ასევე იცავს ბარათის მფლობელს მესამე პირის მიერ ბარათის არაკეთილსინდისიერი გამოყენებისგან/ონლაინ კიბერთაღლითობისგან.

7.6.7.2. 3D უსაფრთხოების სერვისი მოქმედებს მხოლოდ იმ ვებ-გვერდებზე რომლესაც აქვს „MasterCard SecureCode" მხარდაჭერა. აღნიშნულ ვებ-გვერდებზე ონლაინ შესყიდვის შესრულებისას, ბარათის მფლობელს სმს-ით ეგზავნება ერთჯერადი კოდი, რომლითაც კლიენტმა უნდა შეასრულოს შესყიდვის ოპერაციის დამატებითი დადასტურება.

7.6.7.3. ბარათზე 3D უსაფრთხოების სერვისი გააქტიურებულია ავტომატურად და არის უფასო. 3D უსაფრთხოების სერვისის გამოსაყენებლად, მთავარია მომხმარებლის ნომერი იყოს ვერიფიცირებული, ჩართული და ხელმისაწვდომი. კლიენტის საზღვარგარეთ ყოფნის შემთხვევაში თუ როუმინგი არ აქვს გააქტიურებული, სმს-ის მიღება ვერ მოხერხდება.

7.6.7.4. ონლაინ შესყიდვის შესრულებისას, მობილურ ნომერზე სმს-ით მიღებული დადასტურების ერთჯერადი კოდის სამჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში, ბარათის მფლობელი ვეღარ შეასრულებს ონლაინ შესყიდვის ოპერაციის დასრულებას, ვინაიდან ბარათი დაიბლოკება 3D უსაფრთოების სისტემაში. აღნიშნული ბარათის განბლოკვისთვის კლიენტმა უნდა მიმართოს მიკრობანკის ფილიალს.

7.6.8.ბანკის მიერ კრისტალის ბარათებზე გაცემისთანავე შეზღუდული იქნება გარკვეული მაღალი რისკის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდები.

7.6.8. 1.ბარათის მეშვეობით მაღალი რისკის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის უფლების გასააქტიურებლად კლიენტმა უნდა მიმართოს ფილიალის მომხმარებელთა მომსახურების ოპერატორს, აღნიშნული მოთხოვნის დაფიქსირება შესაძლებელია, როგორც ბარათის გაცემის მომენტში, ასევე ბარათის მოქმედების დროს. მიკრობანკი უფლებამოსილია, შეზღუდოს ბარათით ოპერაციების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით, მიკრობანკის პოლიტიკით და/ან შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ, თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში, კლიენტის/ბარათის მფლობელის თანხმობის მიღებამდე, რომელიც გაცხადებული უნდა იყოს ბარათის გააქტიურებამდე. ამასთან, კლიენტი/ბარათის მფლობელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გააუქმოს აღნიშნული თანხმობა, რისთვისაც უნდა მიმართოს მიკრობანკის ფილიალს/სერვისცენტს . მიკრობანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, ნებისმიერ დროს შეცვალოს მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ჩამონათვალი. დამატებულ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდები მიკრობანკის მიერ დაბლოკილი იქნება კლიენტის მიერ შესაბამისი ნების გამოხატვამდე.

7.6.8.2.ბარათის დაბლოკვის და მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში უარს ეუბნება თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის უფლების გააქტიურებაზე ან/და თანხმობის გაუქმებაზე.

7.6.8.3.კლიენტი ადასტურებს, რომ აცნობიერებს თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს და მაღალი რისკის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის უფლების გააქტიურების შემთხვევაში სრულად იქნება პასუხისმგებელი ამგვარ ობიექტებში შესრულებული ტრანზაქციების შედეგებზე.

7.6.8. 4.ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, ნებისმიერ დროს დაამატოს და/ან შეამციროს მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ჩამონათვალი. აღნიშნული ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი კრისტალის ვებ გვერდზე. დამატებულ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდები ასევე იქნება დაბლოკილი, როგორც არსებულ საეჭვო საიტებზე .

7.6.9. მიკრობანკი უფლებამოსილია დაბლოკოს ბარათი კლიენტის გაფრთხილების გარეშე:

7.6.9. 1.თუ არსებობს ეჭვი ბარათით არასანქცირებული ოპერაციების განხორციელების შესახებ;

7.6.9.2.თუ არსებობს ბარათის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ობიექტური საფუძვლები, მათ შორის თაღლითური ან/და არაუფლებამოსილი გამოყენების საფრთხე;

7.6.9.3.არასანქცირებული ოვერდრაფტის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

7.6.9.4.კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და მიკრობანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის/პირობები შესრულების უზრუნველსაყოფად ან აღნიშნული ვალდებულებების/პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

7.6.9. 5.წინამდებარე ხელშეკრულებითა და მიკრობანკის ვებგვერდზე https://crystal.ge/kristalis-sadebeto-barati/ განთავსებულ საინფორმაციაო მასალაში განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

7.6.10. მიკრობანკი უზრუნველყოფს კლიენტის ინფორმირებას ბარათის ბლოკირების თაობაზე შესაბამისი მიზეზის მითითებით, შესაძლებლობის შემთხვევაში ბარათის დაბლოკვამდე, მაგრამ არაუგვიანეს დაბლოკვისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაბლოკვის საფუძვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება დაუშვებელია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ობიექტურად დასაბუთებული მიზეზით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
7.6.11.უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ოპერაციის შემთხვევაში, პროცესები წარიმართება მასტერქარდი (MasterCard) საერთაშორისო სისტემის პროცედურების/რეგულაციების შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობით.

7.6.12ბანკის მიერ ბარათი დაბლოკილი იქნება ტრანზაქციების გარკვევამდე და დაბლოკვის მიზეზის აღმოფხვრის შემდგომ, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე განიბლოკება ან საჭიროებისამებრ მოხდება ბარათის ჩანაცვლება ახლით, რომლის საკომისოსაც გადაიხდის კლიენტი .

7.6.13. ბანკომატში და პოს-ტერმინალში პინ კოდის სამჯერ არასწორად აკრეფისას, ბარათი ავტომატურად დაიბლოკება ხოლო ბანკომატში ასევე მოხდება მისი დაკავება ბანკომატის მიერ. ბარათის დაკავების ან დაბლოკვის შემთხვევაში კლიენტი უნდა დაუკავშირდეს მიკრობანკს. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს სხვა ბანკის ბანკომატში ბარათის დაკავების საკომისიო და/ან ახალი ბარათის (სურვილისამებრ) დამზადების/მომსახურების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7.6.13.1.კლიენტს აქვს უფლება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ბანკომატში დაკავებული ბარათის შესახებ დააფიქსიროს განაცხადი, როგორც ფილიალის მეშვეობით, ასევე კლიენტთა მომსახურების ცენტრის საშუალებით, მისი მხრიდან თუ ეს შესაძლებელია მითითებული უნდა იყოს ბარათის დაკავების ადგილი ბანკომატის ადგილმდებარეობა და ის მიკრობანკის ფილაილი სადაც სურს მისი მიღება, რის შემდეგადაც მიკრობანკი მიმართავს შესაბამის ბანკს ბარათის დაბრუნების მოთხოვნით. მიკრობანკში მისი მიღების შემდგომ იგი დაუბრუნდება კლიენტს.

7.6.13.1.1.ვადაგასული, დაზიანებული და დახურული ბარათი კლიენტს არ დაუბრუნდება.

7.6.13.2.საზღვარგარეთ შესრულებული (CrossBoard) ტრანზაქციის დროს_ საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნისას, მიყოლებით 2 საბარათე ოპერაციის ჩატარების დროს, შესაძლებელია დაიბლოკოს ბარათი.

7.6.13.2.1.საზღვრაგარეთ ბანკომატში დაკავებული ბარათის შემთხვევაში, ბარათის გამოთხოვა ვერ მოხდება მიკრობანკის მიერ და რეკომენდირებულია მისი დახურვა კლიენტის მიერ.

7.6.13.3. 3D კოდს თუ არასწორად შეიყვანს ზედიზედ სამჯერ, ბარათი იბლოკება 30 წუთით, თუმცა შემდეგ ავტომატურად განიბლოკება;

7.6.13.4.ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, ბარათი არ იბლოკება, თუმცა მისი გამოყენება შეუძლებელია. ბანკომატი აკავებს ვადაგასულ ბარათს.
7.6.14. კლიენტმა ბარათის დაბლოკვის მოთხოვნით უნდა იმართოს ფილიალში ოპერატორს ან/და კომპანიის ოფიციალურ საკომუნიკაციო სატელეფონო არხს, ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:

7.6.14.1.ბარათის დაკარგვის გამო;

7.6.14.2. ბარათის მოპარვის გამო;

7.6.14.3. კლიენტის პირადი სურვილით.

7.6.15. ბარათის დაკარგვის /მოპარვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში ბარათის მფლობელმა სასწრაფოდ უნდა მოახდინოს ბარათის დაბლოკვა.

7.6.16. ბარათის დაკარგვის/მოპარვის ფაქტის ბანკისათვის არ შეტყობინების ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში, ბანკს არ ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა შეტყობინებამდე, დაკარგული/მოპარული ბარათით და შესრულებულ ტრანზაქციებზე,
7.6.17. ბარათის დაბლოკვა ნიშნავს საბარათე ოპერაციების შეზღუდვას საქართველოს ფარგლებში. აღნიშნული შეზღუდვა არის უვადო (შესაძლებელია გავრცელდეს ბარათის მოქმედების ვადის ჩათვლით), კლიენტის შემდგომ მოთხოვნამდე.

7.7. ბარათის სტოპ-სიაში მოთავსება

7.7.1 კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე, მიკრობანკი ვალდებულია უზრუნველყოს ბარათის ბლოკირება ბარათის ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სტოპ-სიაში შეყვანით. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის სტოპ-სია არის იმ ბარათების საერთაშორისო ან ლოკალური სია, რომლებზედაც შეზღუდულია ტრანზაქციების განხორციელება და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი.

7.7.2. სტოპ სიაში ჩასმის მოთხოვნა კლიენტმა შესაძლებელია დააფიქსიროს ფილიალში ოპერატორთან.
7.7.3.ადგილობრივი სტოპ-სია უზრუნველყოფს ბარათის ბლოკირებას საბარათე ანგარიშზე განსახორციელებელი ოპერაციებისათვის მხოლოდ ავტორიზებული ტრანზაქციებისათვის (გარდა ოფლაინ ოპერაციებისა).

7.7.4. საერთაშორისო სტოპ-სიაში ბარათის მოთავსება უზრუნველყოფს ბარათის ბლოკირებას ოოპერაციებისათვი დაბლოკვიდან ორი კვირის განმავლობაში, შესაბამისი რეგიონ(ებ)ისთვის. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ბარათის კლიენტის სურვილის მიხედვით, თავიდან უნდა მოხდეს ბარათის მოთავსება საერთაშორისო სტოპ-სიაში. საერთაშორისო სტოპ-სიაში ბარათის ჩასმა ხდება მასტერქარდ (MasterCard) პროცედურებსა და წესების შესაბამისად, დადგენილი განრიგით კონკრეტული რეგიონ(ებ)ის მიხედვით და კონკრეტული ვადით. საერთაშორისო სტოპ-სიაში ბარათის ჩასმა არის ფასიანი და ხორციელდება კონკრეტული რეგიონის მიხედვით, ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

7.7.5.კლიენტის სათანადო მოთხოვნის საფუძველზე, ბარათის სტოპ-სიაში განთავსება ხდება შემდეგ ვადებში:

7.7.5.1.ადგილობრივ სტოპ-სიაში განთავსება – მიკრობანკის მოთხოვნის წარდგენის ან მიკრობანკის ფილიალში/სერვისცენტრში კლიენტის მიერ შესაბამისი განცხადების წარდგენის შემდეგ, დაუყოვნებლივ ;

7.7.5.2.საერთაშორისო სტოპ-სიაში განთავსება - მიკრობანკის მოთხოვნის წარდგენის ან მიკრობანკის ფილიალში/სერვისცენტრში კლიენტის მიერ შესაბამისი განცხადების წარდგენის შემდეგ, მოთხოვნის შესრულებისთვის საჭირო გონივრულ ვადაში.

7.7.6.ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში კლიენტი პასუხისმგებელია ადგილობრივ სტოპ-სიაში ბლოკირებულ ბარათზე განხორციელებულ ოფლაინ ტრანზაქცია(ებ)ზე. ამასთან, მიკრობანკი პასუხს არ აგებს ბარათის დაკარგვის/მოპარვის შესახებ შეტყობინებამდე და ბარათის ადგილობრივ სტოპ-სიაში განთავსებამდე საბარათე ანგარიშზე განხორციელებულ ოპერაციებზე. ბარათის ადგილობრივ სტოპ-სიაში განთავსებისას, კლიენტი ვალდებულია, მიკრობანკს აუნაზღაუროს ბლოკირებული ბარათით განხორციელებული ოფლაინ ტრანზაქციების თანხა.

7.7.7.კლიენტი ვალდებულია, ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში შესაყვანად, გადაიხადოს სტოპ-სიაში შეტანის საკომისიო, აგრეთვე, ბარათზე მითითებული ვადის განმავლობაში აანაზღაუროს ბლოკირებული ბარათით განხორციელებული ოფლაინ ტრანზაქციებით წარმოშობილი ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბლოკირება არ განხროციელდა საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანით.
7.7.8. მიკრობანკი პასუხს არ აგებს ცრუ შეტყობინების შედეგად ბარათის ბლოკირებაზე /ბლოკირებით დამდგარ შედეგებზე).

7.8.საბანკო ანგარიშებზე პრიორიტეტული ვალუტის ცვლილება, კონვერტაცია
7.8.1. საბარათე ანგარიშის გახსნისას მასზე ეხსნება მულტისავალუტო ანგარიში, რაც გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე ვალუტის არსებობას ლარი, აშშ დოლარი და ევრო.
7.8.1.2.ბარათის რეგისტრაციის დროს ვალუტების პრიორიტეტები ავტომატურად ენიჭება შემდეგნაირად: ლარი, აშშ დოლარი და ევრო.
7.8.2. ბარათის მფლობელს ნებისმიერ დროს (მათ შორის ბარათის რეგისტრაციის მომენტში) შეუძლია აღნიშნული პრიორიტეტების ცვლილება.
7.8.2.1. კლიენტს შეუძლია ვალუტის ცვლილება მოითხოვოს შეუზღუდავი რაოდენობით.
7.8.2.2. ვალუტის პრიორიტეტის ცვლილება ხორციელდება კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე, ფილიალში ოპერატორის მეშვეობით. ცვლილება აისახება განცხადების მიღებიდან მეორე კალენდარულ დღეს, ხოლო აღნიშნულ ვადამდე ძალაში რჩება მოქმედი ვალუტის პრიორიტეტი.
7.8.3 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს აქვს რამდენიმე ბარათი მიბმული ერთ მულტისავალუტო ანგარიშზე, პრიორიტეტული ვალუტები ვრცელდება ყველა ბარათზე (ანუ დაუშვებელია კლიენტს ერთ მულტისავალუტო ანგარიშზე მიბმული ორი ბარათიდან ერთ ბარათზე პრიოტიტეტული ვალუტა ჰქონდეს ლარი და მეორეზე ევრო). განსხვავებულ მულტისავალუტო ანგარიშებზე დასაშვებია ანგარიშების პრიორიტეტები იყოს განსხვავებული.
7.8.4.თუ საბარათე ოპერაცია ხორციელდება საბარათე ანგარიშის ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში, მაშინ კლიენტის საბართე ანგარიშიდან თანხის ჩამოწერა მოხდება კონვერტაციის გზით, შემდეგი კურსით:

7.8.4.1 თუ საბარათე ოპერაცია ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, კონვერტაცია მოხდება საბარათე ანგარიშზე ტრანზაქციის ასახვის დღეს მიკრობანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით;
7.8.4.2 თუ საბარათე ოპერაცია ხორციელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ, კონვერტაცია მოხდება კურსით, რომლის განაკვეთიც დგინდება საბარათე ანგარიშზე ტრანზაქციის ასახვის დღეს მიკრობანკის მიერ დაწესებულ საბარათე კურსით

7.8.4.3 თუ საბარათე ოპერაცია ხორციელდება საგადახდო სისტემის მასტერქარდ (MasterCard) ანგარიშსწორების ვალუტ(ებ)ისაგან განსხვავებულ ვალუტაში, კონვერტაციის კურსი დგინდება და კონვერტაცია ხორციელდება შესაბამისი საგადახდო სისტემის მიერ, რასაც მიკრობანკის მხრიდან საკომისიოს სახით ემატება საბარათე ოპერაციის თანხის 2% (ორი პროცენტი). ამასთან, თუ შესაბამისი საგადახდო სისტემის ანგარიშსწორების ვალუტა წარმოადგენს საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტას, მაშინ მიკრობანკის მიერ საგადახდო სისტემის ანგარიშსწორების ვალუტაში კონვერტაცია მოხდება კურსით, რომლის განაკვეთიც განისაზღვრება საბარათე ანგარიშზე ტრანზაქციის ასახვის დღეს მიკრობანკის მიერ საბარათე ოპერაციებისთვის დაწესებული კურსებით.

7.8.5.თუ ტრანზაქციის თანხის ვალუტა განსხვავდება საბარათე ანგარიშზე მიბმული ვალუტებისგან, ან ბარათზე არ არის წარმოდგენილი ის ვალუტა, რომელშიც ტარდება ოპერაცია, ხოლო საბარათე ანგარიში გახსნილია რამდენიმე ვალუტაში (GEL, USD, EUR) , ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი წესით:

7.8.5.1.თანხა ჩამოიჭრება აშშ დოლარში გახსნილი ანგარიშიდან;

7.8.5.2. თუ აშშ დოლარის ანგარიშზე არ არის საკმარისი ნაშთი, თანხა ჩამოიჭრება ბარათზე განსაზღვრული პრიორიტეტულობის მიხედვით.

7.8.5.3. კონვერტაციის კურსი განისაზღვრება MC (MasterCard)-ის კურსით (აქ ლინკი დავამატოთ MasterCard კურსით).

7.8.5.4. თუ თანხის ჩამოჭრა მოხდება ტრანზაქციის გატარებიდან რამდენიმე დღის შემდგომ, ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება დაბლოკვის დროს არსებული MC (MasterCard)-ის კურსი.

7.8.5.5. თუ კლიენტი ახორციელებს თანხის განაღდებას კონკრეტულ ვალუტაში (მაგ. 100 აშშ დოლარში), ხოლო საბარათე ანგარიშზე არ არის შესაბამისი ვალუტა ან ნაშთი, მან უნდა შეცვალოს პრიორიტეტი ვალუტა (მაგ, აშშ დოლარზე) ამის შემდგომ მოახდინოს თანხის გატანა. მოცემულ შემთხვევაში თანხის გატანა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში თუ განაღდების საკომისიო იქნება 0%. კლიენტი ვალდებულია შეავსოს ანგარიში საკომისიოსთვის საჭირო თანხით და ისე მოახდინოს განაღდება. თუ საბარათე ანგარიშზე არ იქნება განაღდების საკომისიოსთვის საკმარისი თანხა, მომხმარებელი თანხის განაღდებას ვერ შეძლებს. Mastercard Currency Converter | Currency Exchange Rate Calculator.

7.8.5.6. თუ ტრანზაქციის ვალუტაში კლიენტს არ ექნება მულტისავალუტო ანგარიში, მაშინ ტრანზაქციის თანხის ჩამოჭრა მოხდება იმ ვალუტაში, რა ვალუტაშიც საპროცესინგო ცენტრი ბანკს გაუგზავნის ტრანზაქციის თანხის და ვალუტის შესახებ ინფორმაციას. ევროზონის შემთხვევაში ეს ვალუტა იქნება ევრო, ხოლო დანარჩენ ვალუტაში შესრულებულ ოპერაციებზე - აშშ დოლარი.

7.8.6. კლიენტის მიერ საბარათე ინსტრუმენტის გამოყენებით ბანკომატით, პოსტერმინალით, ელ.კომერციით ტრანზაქციების, ასევე ოპერაციის შესრულებისთანავე, მიკრობანკი ახორციელებს თანხის ბლოკირებას შესრულებული ტრანზაქციის თანხის შესაბამისად. ბლოკირებისას კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში, თანხის დაბლოკვა მოხდება ბარათის პრიორიტეტულ (ძირითად) ვალუტაში, იმ დღეს არსებული მიკრობანკის კურსით, ხოლო ბარათით განხორციელებული ტრანზაქციები გარკვეული პერიოდის შემდეგ (ამავე ხელშეკრულების 7.2.5 ქვეპუნქტის შესაბამისად) აისახება კლიენტის ანგარიშზე. იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტის საბარათე ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა ხდება შესაბამისი ტრანზაქციის გატარებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ, თანხის დაბლოკვის დროს არსებული კურსი და საგადახდო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების დღეს არსებული კურსი შესაძლებელია იყოს განსხვავებული, რამაც შესაძლებელია განაპირობოს ანგარიშზე დაბლოკილ და ჩამოჭრილ თანხებს შორის სხვაობა.

7.8.7.კლიენტის ანგარიშებს შორის ვალუტის კონვერტაცია ხორციელდება ყოველთვის ოპერაციის დამუშავების მომენტში მოქმედი მიკრობანკის კურსის შესაბამისად. საბარათე ოპერაციის შესრულებისას

თანხის კონვერტაციის სქემები (სხვადასხვა მაგალითის/დაშვების გათვალისწინებით) განთავსებულია მიკრობანკის ვებგვერდზე https://crystal.ge/kristalis-sadebeto-barati/) და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.8.8.კლიენტი უფლებამოსილია, მის მიერ განხორციელებული ტრანზაქციებისა და კონვერტაციის კურსის შესახებ ინფორმაცია მიიღოს ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში, ასევე შესაბამისი იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის გავლის საფუძველზე მიკრობანკის სატელეფონო ცენტრისთვის ნომერზე +995 32 2 02202 მიმართვის გზით.

7.9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.9.1 მიკრობანკი ვალდებულია**:**

7.9.1.1 კლიენტის მიერ სათანადო წესით მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას ინფორმაცია ბარათით ან/და საბარათე ანგარიშზე შესრულებულ ოპერაციებთან დაკავშირებით (მათ შორის, ამონაწერის სახით), შესაბამისი სერვისისთვის მიკრობანკში დადგენილი ტარიფებით;

7.9.1.2 არ გახადოს ბარათის პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლები და საშუალებები ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის, გარდა კლიენტისა;

7.9.1.3 მიიღოს კლიენტის მიერ დაფიქსირებული შეტყობინება ბარათის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შესახებ.მიკრობანკი უფლებამოსილია მოითხოვოს მხოლოდ საგადახდო ინსტრუმენტის ჩანაცვლებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. ხარჯების ანაზღაურების აღნიშნული უფლება არ იზღუდება დაკარგული ინსტრუმენტის ჩანაცვლების შემთხვევაში.

7.9.1.4 კლიენტი გადაამისამართოს მიკრობანკის ვებგვერდზე (https://crystal.ge/kristalis-sadebeto-barati/), სადაც განთავსებულია საბარათე ინსტრუმენტით სარგებლობის წესები და რეკომენდაციები;

7.9.1.5. კლიენტს გააცნოს საბარათე ინსტრუმენტის სარგებლობის პირობების დაცვის მნიშვნელობა და გაუწიოს რეკომენდაციები საბარათე ინსტრუმენტის უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებით;

7.9.1.6. მიიღოს ყველა შესაძლო ზომა საბარათე ინსტრუმენტის დაცულობისა და მისი არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად;

7.9.1.7. პერიოდულად განახორციელოს კლიენტის. საკონტაქტო ინფორმაციის ვერიფიკაცია და მიიღოს გონივრული ზომები არავერიფიცირებული საკონტაქტო ინფორმაციის განსაახლებლად **7.9.2** მიკრობანკი უფლებამოსილია:

7.9.2.1 აუცილებლობის შემთხვევაში, ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში შეცვალოს ის ახალი ბარათით;

7.9.2.3კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის, აგრეთვე კლიენტის გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს ბარათის მოქმედება და მიიღოს აუცილებელი ზომები მიკრობანკისადმი კლიენტის დავალიანების ამოსაღებად;

7.9.2.4 შეაჩეროს ბარათის მოქმედება არაკანონიერი ოპერაციების ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, მასტერქარდ (MasterCard) საგადამხდელო სისტემის მიერ ბარათის არაკანონიერი გამოყენების დამადასტურებელი ინფორმაციის მოწოდებისთანავე;

7.9.2.5. საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას მიკრობანკს უფლებამოსილია დაბლოკოს ბარათი, აღნიშნულის შესახებ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტს;

7.9.2.6 საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს კლიენტს ბარათ(ებ)ის გაცემასა და/ან აღდგენაზე;

7.9.3 კლიენტი ვალდებულია**:**

7.9.3.1 გამოიყენოს ბარათი მიკრობანკის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

7.9.3.2 ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული და მასტერქარდ (MasterCard) საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის პროცედურები და წესები;

7.9.3.3 დაიცვას მისთვის გაცემული ბარათის უსაფრთხოების ზომები, უზრუნველყოს შესაბამისი ინსტრუმენტის პერსონიფიცირებული საშუალებების დაცვა, არ დაუშვას უცხო პირების მიერ მისი ბარათის გამოყენების შესაძლებლობა;

7.9.3.4 ბარათის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, აღნიშნულის აღმოჩენისთანავე მოახდინოს ბარათის დაბლოკვა ან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით აცნობოს ამის თაობაზე მიკრობანკს;

7.9.3.5 აანაზღაუროს მიკრობანკის მიერ დაწესებული საკომისიო და გაწეული ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მასტერქარდ (MasterCard) საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის მიერ ბარათის დამატებითი სახის ფასიან მომსახურებებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

7.9.3.6 დაკარგული ბარათის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ის მიკრობანკს; და არ გამოიყენოს ის თავისი მიზნებისთვის;

7.9.3.7. კლიენტის მიერ ბარათზე დაფიქსირებული საეჭვო ტრანზაქციის შემთხვევაში სავალდებულო წესით, დაუყოვნებლივ დაბლოკოს ბარათი (დაკარგვისთანავე, ან როდესაც აღმოაჩინა დაკარგვა).

7.9.4 კლიენტი უფლებამოსილია**:**

7.9.4.1 ბარათით ჩაატაროს ოპერაციები ხარჯვის ლიმიტის ფარგლებში;

7.9.4.2 მოითხოვოს და მიიღოს ამონაწერი საბარათე ანგარიშიდან;

7.9.4.3 გაასაჩივროს ბარათით განხორციელებული ოპერაცია, თუ თვლის, რომ ადგილი ჰქონდა არაავტორიზირებულ ან არასწორად განხორციელებულ ოპერაციას. ამასთან, კლიენტის მიერ რაიმე ოპერაციის გასაჩივრება არ აღნიშნავს მიკრობანკის უპირობო ვალდებულებას აუნაზღაუროს კლიენტს აღნიშნული ოპერაციების ჩატარების შედეგად მიყენებული ზიანი;

7.9.4.4 შეატყობინოს ბანკს ბარათის ვადის გასვლის შესახებ და მოითხოვოს ახალი ბარათის დამზადება.

7.10 მხარეთა პასუხისმგებლობა

7.10.1 კლიენტი სრულად აგებს პასუხს არაავტორიზებულ გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული იმ ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია მისი დანაშაულებრივი ქმედებით, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების განზრახ ან დაუდევრობით შეუსრულებლობით, მათ შორის იმ შემთხვევაში თუ:

7.10.1.1 კლიენტი გამოიყენებს ბარათს ბარათისათვის დადგენილი პირობების დარღვევით;

7.10.1.2 არ დაიცავს ბარათის უსაფრთხოების ზომებს, არ უზრუნველყოს ბარათის პერსონიფიცირებული საშუალებების ან/და პერსონიფიცირებული მონაცემების დაცვას;

7.10.1.3 ბარათის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მისი აღმოჩენიდან უმოკლეს ვადაში არ შეატყობინოს ამის თაობაზე მიკრობანკს;

7.10.2 კლიენტი ვალდებულია, არაავტორიზებული ან არასწორად შესრულების ოპერაციის შესახებ, ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან დაუყოვნებლივ, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მიმართოს მიკრობანკს.

7.10.3 მიკრობანკი არ არის პასუხისმგებელი**:**

7.10.3.1 ბარათის არასანქცირებული გამოყენებისათვის იმ ფაქტების გამო, რომლებიც კლიენტის მიზეზით არის გამოწვეული;
7.10.3.2 კლიენტსა და მომსახურების ობიექტებს შორის წარმოქმნილ სადაო სიტუაციებზე;
7.10.3.3 ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც შესრულებულია დაკარგული/მოპარული, უკანონოდ მითვისებული ან უკანონოდ გამოყენებული ბარათით, თუ კლიენტმა არ უზრუნველყო დაკარგული/მოპარული ბარათის დროული ბლოკირება;
7.10.3.4 ოპერაციებზე, რომლებიც შესრულებულია მესამე პირის მიერ, თუ ტრანზაქცია ავტორიზებულია;
7.10.3.5 მაღალრისკიან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან ოპერაციებში განხორციელებულ ოპერაციებზე, თუ კლიენტის მიერ გაცხადებულია თანხმობა ოპერაციების განხორციელებაზე;
7.10.3.6 უკონტაქტო ბარათით პინის და ჩიპის გარეშე, ლიმიტის ფარგლებში გატარებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით;
7.10.3.7 მიკრობანკის მიერ შეთავაზებულ უსაფრთხოების ზომაზე კლიენტის მიერ უარის თქმის შემთხვევაში დამდგარი შედეგისთვის (ასეთ შემთხვევაში უსაფრთხოების ზომაზე უარის თქმის შედეგად დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებელია კლიენტი);
7.10.3.8 ბარათით განხორციელებულ ნებისმიერ უკანონო ოპერაციაზე;
7.10.3.9 თუ მიკრობანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ/ვერ მოხდა ბარათით თანხის განაღდება მიკრობანკის სისტემის გარეთ არსებულ მომსახურების წერტილებში;
7.10.3.10 კლიენტის მიერ 3D უსაფრთხოების სერვისით სარგებლობის ისეთ შედგებზე როგორიცაა მათ შორის, ერთჯერადი კოდის არასწორად შეყვანის გამო ტრანზაქციის შეუსრულებლობა, კლიენტის მიერ მიკრობანკისგან დამოუკიდებელი მიზეზით ერთჯერადი კოდის მიუღებლობა, ტრანზაქციის შესრულების შეფერხება და ა.შ;
7.10.3.11დაგვიანებულ, არასწორ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის ან ტექნიკური მიზეზების გამო;
7.10.3.12.იმ შესაძლო ზარალზე, რომელიც შეიძლება მიადგეს კლიენტს ბარათის მეშვეობით ჩატარებული ოპერაციის თარიღსა და აღნიშნული ოპერაციის კლიენტის ანგარიშზე ასახვის თარიღს შორის სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად;
7.10.3.13 ბარათით განხორციელებულ ოფლაინ ტრანზაქციებზე (მათ შორის, რეკურენტული გადახდების შემთხვევაში). კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ოფლაინ ტრანზაქცია(ები) სრულდება მიკრობანკის დადასტურების გარეშე, შესაბამისად, მიკრობანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კლიენტის ბარათით ოფლაინ ტრანზაქცი(ებ)ის შესრულების გამო, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ოფლაინ ტრანზაქციები განხორციელებული ბარათის ბლოკირების შემდეგ.

7.11. საჩივრის წარდგება და მისი განხილვა

7.11.1.კლიენტს აქვს უფლება გაასაჩივროს ბარათით /საბარათე ანგარიშზე განხორციელებული სადავო ტრანზაქია, განხორციელებიდან 13 თვის ვადაში თუ ,,მასთერქარდის'' (MasterCard) წესებით სხვა პირობები არ არის განსაზღვრული და წარუდგინოს გასაჩივრებულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტები, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ტრანზაქციის თარიღი, ტრანზაქციის ოდენობა, ბარათის მონაცემები, ინფორმაცია სავაჭრო ობიექტზე (რელევანტურობის შემთხვევაში), შეძენილი ნივთი და/ან მომსახურება (რელევანტურობის შემთხვევაში), ქვითარი/გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (რელევანტურობის შემთხვევაში), გზავნილის მიმღების დასახელება და

მისამართი (რელევანტურობის შემთხვევაში) და ნებისმიერი სხვა დამატებითი ინფორამცია და/ან დოკუმენტი, რასაც ბანკი, საკუთარი შეხედულებისამებრ, საჭიროდ მიიჩნევს საკითხის შესწავლისა და განხილვის პროცესში.

7.11.2 კლიენტი ვალდებულია, ბარათის ტრანზაქციების არ ცნობის შემთხვევაში, წერილობით მიმართოს ბანკს ტრანზაქციის შესრულებიდან არაუგვიანეს 13 თვის განმავლობაში თუ ,,მასთერქარდის'' (MasterCard) წესებით სხვა პირობები არ არის განსაზღვრული, ხოლო ტრანსსასაზღვრო ტრანზაქციის შემთხვევაში არაუგვიანეს ანგარიშის დადებეტებიდან 75 კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტრანზაქცია ჩაითვლება მიღებულად და საჩივარი თანხის დაბრუნების თაობაზე არ მიიღება.

7.11.3. გასაჩივრების მიზნით, კლიენტს შეუძლია მიმართოს ფილიალში ოპერატორს ან კომპანიის ოფიციალურ საკომუნიკაციო არხს.

7.11.4. კლიენტის განცხადების განხილვა მოხდება მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო, თუ მიკრობანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება განცხადების განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, მიკრობანკი აცნობებს კლიენტს განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადას, დაგვიანების მიზეზის დასაბუთებით. კლიენტის განცხადებაზე გადაწყვეტილების მიღებისა და კლიენტისათვის გაცნობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს განცხადების მიღებიდან 55 (ორმოცდათხუთმეტი) სამუშაო დღეს. მასთერქარდის განხილვის ვადებია _4590 კალენდარული დღე.

7.11.5 კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს მიკრობანკის მიერ პრობლემის მოკვლევასთან დაკავშირებით დაწესებული დამატებითი მომსახურებების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7.11.6. ბანკომატის მეშვეობით ნაღდი ფულის გატანის ოპერაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, მათ შორის კლიენტის მიერ თანხის აღების ვერ მოსწრების ან თანხის აღების დავიწყების, აგრეთვე მტკიცებისას, რომ კონკრეტული ნაღდი ფულის გატანის ტრანზაქცია მის მიერ არ განხორციელებულა და სხვა, მომხმარებლის მიერ საჩივრის წარდგენისას, მიკრობანკი არ არის უფლებამოსილი სხვა ბანკის საკუთრებაში არსებულ ბანკომატთან დაკავშირებული ინფორმაციის ან ჩანაწერების გამოთხოვაზე, ხოლო შესაბამისი ინფორმაციის მიღება და წარდგენა ხორციელდება კლიენტის მიერ შესაბამის ბანკთან დამოუკიდებლად მიმართვის გზით.

7.11.7. ბარათის გამოყენებით შეძენილი საქონლის და/ან მომსახურების ხარისხთან, რაოდენობასთან ან შესაბამისობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრეტენზიის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხის განხილვა და დავის გადაწყვეტა ხორციელდება უშუალოდ კლიენტს და შესაბამის სავაჭრო/მომსახურების ობიექტს შორის. აღნიშნული პრეტენზიის არსებობა არ ათავისუფლებს კლიენტს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე სადავო ტრანზაქციიდან გამომდინარე ბანკის მიმართ წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულებისაგან.

7.11.8 მიკრობანკს არ ეკისრება კლიენტის გასაჩივრებული ოპერაციის თანხის ანაზღაურების ვალდებულება, თუ მიკრობანკს აქვს კლიენტის მიერ თაღლითური ქმედების განხორციელების ან წინამდებარე ხელშეკრულებით ბარათთან/საბარათე ოპერაციებთან დაკავშირებული ვალდებულებების კლიენტის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევის შესახებ საფუძვლიანი ეჭვი.

8.პერსონალური მონაცემები და კონფიდენციალურობა

8.1 კლიენტისთვის (პერსონალური მონაცემების დანაწესები ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებთან მიმართებით) ცნობილია და აცხადებს თანხმობას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო ანგარიშით მომსახურების მიზნით მიკრობანკმა, როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა (რომლის მონაცემებია შემდეგი: სს მიკრობანკი კრისტალი, საიდენტიფიკაციო კოდი 212896570, მის:

ქუთაისი, ნიკეას ქ. #22, ტელ: 0322022020, ვებგვერდი www.crystal.ge), დაამუშავოს მისი პერსონალური მონაცემები, რაც მიეთითება, როგორც განაცხადში, ასევე ფიქსირდება კლიენტის მხრიდან მიკრობანკისთვის წარმოდგენილ დოკუმენტებსა და საფინანსო პროდუქტებით მომსახურების ფარგლებში, მათ შორის საბანკო ანგარიშზე წარმოებული ტრანზაქციების განხორციელებისას დამუშავებულ მონაცემებში, კანონმდებლობის შესაბამისად, კლიენტის მიერ მოთხოვნილი მომსახურების გაწევის მიზნით.

8.2 მათ შორის, კლიენტისთვის ცნობილია მიკრობანკის ვებ გვერდზე https://crystal.ge/product/momkhmarebelta-personaluri-monacemebis-damushaveba/განთავსებული ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით და აცხადებს თანხმობას, რომ მომსახურების სრულყოფილად გაწევის მიზნით მიკრობანკი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, კლიენტის იდენტიფიცირების, ვერიფიკაციის თუ სქრინინგის, ასევე ანგარიშის გახსნასა თუ დახურვასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნებისთვის, ახორციელებს კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებას როგორც უშუალოდ, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი მესამე პირების (მათ შორის RTGS, SWIFT) ჩართულობით ან/და პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის სხვა პასუხისმგებელი პირებთან ინფორმაციის მიმოცვლით, მათ შორის სსიპ შემოსავლების სამსახურთან, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამისი კომპეტენციების მქონე სხვა სახელმწიფო ორგანოებთან.

8.3 კლიენტისთვის ცნობილია, რომ მას, როგორც მონაცემთა დაცვის სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო მიკრობანკი ვალდებულია შეასრულოს, კლიენტის პერსონალური მონაცემების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვა, მონაცემების გაცნობა და ასლის გამოთხოვა, გასწორება, განახლება, შევსება, დაბლოკვა, დამუშავების შეწყვეტა, წაშლა, განადგურება, თანხმობის გამოხმობა, ასევე მონაცემების გადატანა, პროფაილინგის შემთხვევაში ადამიანური რესურსის ჩართვა და მოსაზრების დაფიქსირება, ხოლო რომელიმე უფლების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით. მიკრობანკი უფლებამოსილია მონაცემთა სუბიექტის ჩამოთვლილი უფლებების შეზღუდვა განახორციელოს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

8.4 მიკრობანკი იღებს ვალდებულებას პერსონალური მონაცემების დამუშავება განახორციელოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ზედმიწევნით დაცვით და უზრუნველყოს ერთის მხრივ კონფიდენციალურობის, მონაცემების უსაფრთხოდ დაცვის მაღალი სტანდარტი, ხოლო მეორეს მხრივ კლიენტის, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სუბიექტის უფლებების ზედმიწევნით დაცვა.

8.5 მიკრობანკი ასევე იღებს ვალდებულებას, როგორც კლიენტის პერსონალური მონაცემები, ასევე კლიენტის მასთან არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მათ შორის ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაცია, უზრუნველყოს კონფიდენციალურობის მაღალი სტანდარტით დაცულობით, იმდაგვარად, რომ არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ განხორციელდეს მესამე პირებისთვის აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება, თუ აღნიშნული არ იქნა მოთხოვნილი უშუალოდ კლიენტის მიერ ან კანონმდებლობის საფუძველზე.

9.კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა**,** თანმდევი ვალდებულებები

9.1 კლიენტი ვალდებულია მოახდინოს მიკრობანკის ინფორმირება თუ შეიცვლება კლიენტი იურიდიული პირის აქციონერი/მეწილე/დამფუძნებელი/საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე ან თუ კლიენტი ან მისი დამფუძნებელი ან ბენეფიციარი მესაკუთრე, მიკრობანკთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ, გახდება პოლიტიკურად აქტიური პირი. წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის კლიენტი ვალდებულია მოახდინოს მიკრობანკის წერილობითი ინფორმირება შესაბამის ცვლილებამდე გონივრული ვადით, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე, ან სადაც ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით შეუძლებელია ცვლილებამდე მიკრობანკის წერილობით ინფორმირება, აღნიშნული უნდა მოხდეს ცვლილებისთანავე დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა. მიკრობანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, კლიენტის თანხმობის გარეშე, შეწყვიტოს კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს დავალიანების ვადამდე სრული დაფარვა თუ კლიენტი დაარღვევს ზემოაღნიშნულ ვალდებულებებს. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, მიკრობანკის წერილობითი ინფორმირების შემდეგ, ან როდესაც მიკრობანკი აღმოაჩენს, რომ შეიცვალა კლიენტი იურიდიული პირის აქციონერი/მეწილე/დამფუძნებელი/საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე, ან თუ კლიენტი ან მისი დამფუძნებელი ან ბენეფიციარი მესაკუთრე, მიკრობანკთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ, გახდება პოლიტიკურად აქტიური პირი, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში მიკრობანკი გადაწყვეტს კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელების ან შეწყვეტის საკითხს. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, „პოლიტიკურად აქტიური პირი“ განიმარტება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

9.2 კლიენტის შესახებ მიკრობანკში არსებული სხვა მონაცემების (პერსონალური ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის), მათ შორის: საფირმო სახელწოდების ან/და სხვა პირადი/სამეწარმეო მონაცემების, იურიდიული/ფაქტობრივი მისამართის, სამართლებრივი ფორმის, საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის, ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის/წარმომადგენლ(ებ)ის/მარწმუნებლის, გადამხდელის სტატუსის, მიკრობანკისათვის მიწოდებული სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილებისას კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიკრობანკს აღნიშნული ინფორმაციის/მონაცემების შეცვლის/გაუქმების/შეჩერების შესახებ. კლიენტი ვალდებულია, წარუდგინოს მიკრობანკს 8.1 და 8.2 პუნქტებით განსაზღვრულ მონაცემთა ცვლილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის ორიგინალი ან სანოტარო წესით და/ან მიკრობანკისათვის მისაღები სხვა ფორმით დამოწმებული ასლი. კლიენტის მიერ ცვლილების შესახებ წერილობით შეტყობინებამდე მიკრობანკი უფლებამოსილია იმოქმედოს მიკრობანკში დაცული ინფორმაციის შესაბამისად და ასეთ შემთხვევაში მიკრობანკის ნებისმიერი ქმედება სათანადო და მართლზომიერია და აქვს სრული იურიდიული შედეგები. აღნიშნული ცვლილების შეუტყობინებლობით გამოწვეული ნებისმიერი სახის შედეგზე, შესაბამისი ცვლილების ან/და გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებამდე განხორციელებული ქმედებების შედეგად დამდგარ ზიანზე (ზარალზე), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაეკისროს მიკრობანკს, პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

9.3 მიკრობანკი უფლებამოსილია წელიწადში მინიმუმ ერთხელ მოსთხოვოს კლიენტს ანგარიშის გასახსნელად წარმოდგენილი დოკუმენტების და/ან ინფორმაციის განახლება. თუ კლიენტი ვერ უზრუნველყოფს (უარს აცხადებს) ზემოაღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენას, მიკრობანკი უფლებამოსილია შეაჩეროს, შეზღუდოს და/ან შეწყვიტოს საბანკო ოპერაციების წარმოება/კლიენტისათვის მომსახურების გაწევა/შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

9.4 კლიენტი პასუხისმგებელია მიკრობანკში წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობაზე, სისრულეზე, და ძალაში ყოფნაზე.

9.5 კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს მიკრობანკს ნებისმიერი სახის პირადობის დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის გაუქმების, დაკარგვის ან სხვისთვის გადაცემის შესახებ, ასევე კლიენტის მონაცემებში ამერიკის შეერთებული შტატების მაჩვენებლის გაჩენის შესახებ (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი საცხოვრებელი ბარათის ე.წ. „მწვანე ბარათის“ მოპოვებით და სხვა). წინააღმდეგ შემთხვევაში, მიკრობანკი თავისუფლდება თანამდევი შედეგებისა და პასუხისმგებლობისაგან, მათ შორის დამდგარი ზიანის ანაზღაურებისაგან (მათ შორის იმ ზიანის ანაზღაურებისაგან, რომელიც დოკუმენტის დაკარგვის ან სხვისთვის გადაცემის ფაქტის თუნდაც არაპირდაპირი შედეგია), როგორც კლიენტის, ასევე ნებისმიერი მესამე პირის წინაშე. „191 G20-ის ლიდერების მხარდაჭერით შექმნილი ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საერთო მოდელის - ანგარიშგების საერთო სტანდარტისა („CRS“) და საქართველოს საგადასახადო რეგულაციების მოთხოვნის შესაბამისად, მიკრობანკი ვალდებულია შეაგროვოს გარკვეული ინფორმაცია თითოეული ანგარიშის მფლობელის საგადასახადო რეზიდენტობის შესახებ. მიკრობანკის მოთხოვნის შემთხვევაში თვითდეკლარაცია უნდა შეავსოს ყველა ანგარიშის მფლობელმა. კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია მიკრობანკს CRS-ის მოთხოვნის შესაბამისად მიკრობანკის თვითდეკლარაციის ფორმაში კლიენტის მიერ ასახული მონაცემების ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ამასთან განაახლოს თვითდეკლარაცია ასეთი ცვლილებიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებობის შემთხვევაში, მიკრობანკი უფლებამოსილია შეაჩეროს, შეზღუდოს და/ან შეწყვიტოს საბანკო ოპერაციების წარმოება/კლიენტისათვის მომსახურების გაწევა/შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

9.6 კლიენტი აცხადებს, რომ ის არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით და არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან („შელ ბანკთან“) და მის მიერ ანგარიშის გახსნის განაცხადის მიკრობანკის მიერ მიღების მომენტში მიკრობანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამეწარმეო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის, სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი.

9.7 გადასახადების თავიდან არიდების ხელშეწყობის აღკვეთის პოლიტიკა

9.7.1 “მხარეები” აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

9.7.1.1. თითოეული მათგანი ასევე, მათთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდებისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითხებს უწევენ მუდმივ კონტროლს;

9.7.1.2. „მხარეები“, ასევე მათთან დაკავშირებული პირები: უფლებამოსილი პირები, წარმომადგენლები, არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობას (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით;

9.7.1.3. თითოეული მათგანი, ასევე, მათთან დაკავშირებული პირები არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ ან/და ბრალდებული კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ან ხელშეწყობის კუთხით.

9.7.2 ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ამ, ისე მხარეებს შორის აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტა. ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს დამრღვევი მხარის ან/და მისი უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, ან მასთან დაკავშირებული პირის პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით (მათ შორის შესაძლო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც). ამასთანავე, მხარეები ადასტურებენ, რომ მხარის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს უფლებამოსილი პირის, ან მასთან დაკავშირებული პირის ქმედება, თუკი ეს პირი არ მოქმედებდა მხარის სახელითა და დავალებით.

9.7.3 აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ან/და აქამდე გაფორმებული ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.
9.7.4 ნებისმიერი მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ან/და გამოიწვიოს წინამდებარე გარანტიების დარღვევა. ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას.

9.8 FATCA. უცხოური ანგარიშების საგადასახადო შესაბამისობის აქტთან **(FATCA)** და აშშ-სა და საქართველოს შორის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებასთან **(IGA)** შესაბამისობის პირობები
9.8.1 FATCA-ს მიზანია დაკმაყოფილდეს აშშ-ს საგადასახადო კანონმდებლობით და IGA ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

9.8.2 იმ შემთხვევაში თუ:
9.8.2.1. კლიენტი აშშ-ს მოქალაქეა ან/და აშშ-ს გადასახადის გადამხდელი რეზიდენტია, კლიენტი ვალდებულია წარმოუდგინოს მიკრობანკს აშშ-ს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნისა და დადასტურების ფორმა, რომელიც შემუშავებულია აშშ-ს შემოსავლების სამსახურის მიერ (ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ლინკზე: http://www.irs.gov/pub/irs-pdf/fw9.pdf) ან მისი შემცვლელი ფორმა (ფორმა
W-9), რომელსაც მიკრობანკი გადასცემს კლიენტს;
9.8.2.2. კლიენტი არ არის აშშ-ს მოქალაქე ან/და აშშ-ს გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი, მაგრამ დაბადებულია აშშ-ში, კლიენტი ვალდებულია წარმოუდგინოს მიკრობანკს აშშ-ს საგადასახადო დაბეგვრისა და რეპორტინგის მიზნებისთვის ფიზიკური პირის უცხოური სტატუსის დადასტურების ფორმა, რომელიც შემუშავებულია აშშ-ს შემოსავლების სამსახურის მიერ (ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ლინკზე: http://www.irs.gov/pub/irs-pdf/fw8ben.pdf) შესაბამის ახსნა განმარტებასთან (აშშ-ს მოქალაქეობაზე უარის თქმის ან მისი ვერ მოპოვების მიზეზის შესახებ) ან აშშ-ს მოქალაქეობის დაკარგვის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ან მისი შემცვლელი ფორმა (ფორმა W-8BEN), რომელსაც მიკრობანკი გადასცემს კლიენტს;
9.8.2.3. კლიენტი არ არის აშშ-ს მოქალაქე ან/და აშშ-ს გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი, თუმცა ფლობს რეგისტრაციის/ფაქტობრივ მისამართს აშშ-ში ან/და ტელეფონის ნომერს, რომელიც აღრიცხულია/რეგისტრირებულია აშშ-ში; ან/და კლიენტის წარმომადგენელს, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ანგარიშის გახსნაზე, გააჩნია რეგისტრაციის/ფაქტობრივი მისამართი აშშ-ში; ან/და კლიენტი აძლევს მიკრობანკს მუდმივ საგადახდო დავალებას აშშ-ში არსებულ ანგარიშებზე გადარიცხვის განსახორციელებლად - კლიენტი ვალდებულია წარმოუდგინოს მიკრობანკს აშშ-ს საგადასახადო

დაბეგვრისა და რეპორტინგის მიზნებისთვის ფიზიკური პირის უცხოური სტატუსის დადასტურების ფორმა, რომელიც შემუშავებულია აშშ-ს შემოსავლების სამსახურის მიერ (ფორმა იხილეთ ლინკზე: http://www.irs.gov/pub/irspdf/fw8ben.pdf) ან მისი შემცვლელი ფორმა (ფორმა W-8BEN), რომელსაც მიკრობანკი გადასცემს კლიენტს.

9.8.3 იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი განაცხადის ხელმოწერიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში, ან მიკრობანკის მიერ კლიენტისთვის გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ დამატებით ვადაში, კლიენტი არ წარმოუდგენს მიკრობანკს ფორმა W-9 ან ფორმა W-8BEN, მიკრობანკი არ აგებს პასუხს აღნიშნული ფორმების წარმოუდგენლობის გამო აშშ-ს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კლიენტისათვის დაკისრებულ პასუხისმგებლობაზე.

9.8.4 FATCA-ს მიზნებისა და IGA ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად კლიენტი აცხადებს, რომ კლიენტის მიერ მიკრობანკისათვის გადაცემული ინფორმაცია უტყუარი და ზუსტია.

9.8.5 კლიენტი ვალდებულია:

9.8.5.1 აცნობოს მიკრობანკს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ცვლილება მის მიერ მოწოდებულ ზემოაღნიშნული ფორმებში ასახულ ინფორმაციაში, აღნიშნული გარემოებების წარმოქმნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

9.8.5.2 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მიკრობანკს გადასცემს მესამე პირის პერსონალურ მონაცემებს, აღნიშნული მონაცემების მიკრობანკისთვის გადაცემამდე კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, მოიპოვოს და შეინახოს თანხმობა აღნიშნული პირებისგან მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და მიკრობანკისთვის გადაცემის თაობაზე;

9.8.5.3 კლიენტი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მიკრობანკს ის ზიანი/ზარალი, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიკრობანკს, ამ მუხლში გათვალისწინებული კლიენტის ვალდებულებების დარღვევის გამო, FATCA-ს ან IGA ხელშეკრულების ფარგლებში.

9.9 CRS რეგულაციასთან შესაბამისობის პირობები

9.9.1 ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

9.9.1.1. CRS რეგულაცია - „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენცია, მის შესაბამისად დადებული „ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმება (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმება და მათ საფუძველზე მიღებული ნებისმიერი ნორმატიული/სამართლებრივი აქტი;

9.9.1.2. CRS ანგარიშგებას დაქვემდებარებული პირი - კლიენტი, რომელიც CRS რეგულაციით განსაზღვრულ შესაბამისი იურისდიქციის ქვეყანაში ფიქსირდება/შესაძლოა ფიქსირდებოდეს საგადასახადო/გადასახადის გადამხდელ რეზიდენტად ან/და გააჩნია შესაბამისი იურისდიქციის გადასახადის გადამხდელის ნომერი, რის საფუძველზეც სავალდებულოა კლიენტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს CRS რეგულაციით განსაზღვრულ შესაბამისი იურისდიქციის ქვეყნების უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოს.

9.9.2 მხარეები თანხმდებიან, რომ CRS რეგულაციიდან დადგენილი მოთხოვნების ფარგლებში:

9.9.2.1. კანონმდებლობის საფუძველზე, CRS რეგულაციიდან გამომდინარე, ამავე რეგულაციით განსაზღვრულ შემთხვევებში მიკრობანკი ვალდებულია, მოიპოვოს კლიენტის შესახებ CRS რეგულაციით განსაზღვრული ინფორმაცია და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვროს არის თუ არა კლიენტი CRS ანგარიშგებას დაქვემდებარებული პირი. კლიენტის ანგარიშგებას დაქვემდებარბულ პირად განსაზღვრის შემთხვევაში მიკრობანკი ვალდებულია მოპოვებული და მის ხელთ არსებული კლიენტის შესახებ ინფორმაცია გადასცეს შესაბამის უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოებს, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირს – შემოსავლების სამსახურს;

9.9.2.2. CRS რეგულაციის საფუძველზე კლიენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვება/დამუშავება ხდება იმ მიზნით, რომ დადგინდეს CRS რეგულაციით განსაზღვრულ შესაბამისი იურისდიქციის ქვეყანაში კლიენტის საგადასახადო/გადასახადის გადამხდელ რეზიდენტად ყოფნის ფაქტი და მისი გადასახადის გადამხდელის 32 / 36 ნომერი, რის საფუძველზეც აღნიშნული ინფორმაცია და კლიენტის შესახებ მიკრობანკში არსებული ინფორმაცია (მათ, შორის და არა მხოლოდ ინფორმაცია, რომ პირი, არის/აღარ არის მიკრობანკის კლიენტი, ანგარიშის ნომერი, ანგარიშზე არსებული/ჩარიცხული თანხები) მიეწოდება შესაბამისი ქვეყნის/იურისდიქციის საგადასახადო ორგანოებს.

9.9.3 CRS რეგულაციის საფუძველზე მიკრობანკის მიერ კლიენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისას:

9.9.3.1. კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც კლიენტი მიკრობანკს აწვდის თვითდეკლარაციის ფორმის შევსების გზით, მიკრობანკი ადგენს კლიენტი არის თუ არა CRS ანგარიშგებას დაქვემდებარებული პირი;

9.9.3.2. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მოწოდებულ და მიკრობანკში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ კლიენტი არის CRS ანგარიშგებას დაქვემდებარებული პირი, მიკრობანკი კლიენტის შესახებ მიკრობანკში არსებულინფორმაციას მიაწვდის უფლებამოსილსაგადასახადო ორგანოებს, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირს – შემოსავლების სამსახურს;

9.9.3.3. მიკრობანკი არ არის ვალდებული და არ განსაზღვრავს CRS რეგულაციის მიზნებიდან გამომდინარე კლიენტის შესაბამის იურისდიქციაში საგადასახადო/გადასახადის გადამხდელ რეზიდენტობის სტატუსს. შესაბამისად, მიკრობანკი არ არის ვალდებული კლიენტს მისცეს რაიმე სახის მითითება/რჩევა აღნიშნულთან დაკავშირებით. თუ კლიენტმა არ იცის ან/და არ შეუძლია განსაზღვროს საგადასახადო რეზიდენტობა, კლიენტმა კონსულტაციისთვის უნდა მიმართოს შესაბამისი კვალიფიკაციის საგადასახადო სპეციალისტს/ორგანოს;

9.9.3.4. მიკრობანკი უფლებამოსილია კლიენტისგან მოიპოვოს მიკრობანკის მიერ დადგენილი თვითდეკლარაციის სრულად/სათანადოდ შევსებული ფორმ(ებ)ი, ხოლო კლიენტი ვალდებულია სრულად შეავსოს და მიკრობანკს გადასცეს თვითდეკლარაციის ფორმა.

9.9.4 მიკრობანკი უფლებამოსილია უარი უთხრას კლიენტს ანგარიშის გახსნაზე, დახუროს არსებული ანგარიში/წინასწარი შეტყობინების/გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, ან/და შეზღუდოს ანგარიშით სარგებლობის უფლება, თუ კლიენტი უარს აცხადებს მიკრობანკისთვის თვითდეკლარაციის ფორმის წარდგენაზე ან/და მიკრობანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე.

9.9.5 მიკრობანკი უფლებამოსილია შეამოწმოს კლიენტის მიერ მისთვის წარდგენილი ინფორმაციის სისწორე/შესაბამისობა მის ხელთ არსებულ ან/და მოპოვებულ ინფორმაციასთან და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს კლიენტისგან კიდევ ერთხელ თვითდეკლარაციის ფორმის სრულად/სათანადოდ შევსება და მიკრობანკისთვის წარდგენა.

9.9.6 კლიენტის მიერ თვითდეკლარაციის ფორმის შეუსვებლობის ან/და წარუდგენლობის შემთხვევაში ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მის ხელთ არსებული კლიენტის ინფორმაცია წარუდგინოს შესაბამის უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოებს, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირს – შემოსავლების სამსახურს.

9.9.7 კლიენტი აცხადებს/თანახმაა, რომ:

9.9.7.1.კლიენტის მიერ მიკრობანკისათვის გადაცემული ინფორმაცია უტყუარი და ზუსტია;

9.9.7.2. მისთვის ცნობილია, რომ მის მიერ მიკრობანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია, ასევე მიკრობანკის ხელთ არსებული კლიენტის ინფორმაცია, CRS რეგულაციის შესაბამისად, ზიარდება იმ ქვეყნის/იურისდიქციის საგადასახადო ორგანოებთან, სადაც კლიენტის მიერ მითითებული ინფორმაციის საფუძველზე, კლიენტი ფიქსირდება საგადასახადო/გადასახადის გადამხდელ რეზიდენტად;

9.9.7.3.დაუყოვნებლივ აცნობოს მიკრობანკს ნებისმიერი გარემოების ცვლილების შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერი სახის ცვლილება მის მიერ მიკრობანკისათვის მიწოდებულ თვითდეკლარაციის ფორმაში ასახულ ინფორმაციაში და მიკრობანკის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მიკრობანკს ახალი თვითდეკლარაციის ფორმა;

9.9.7.4. მიკრობანკისთვის ინფორმაციის გადაცემამდე კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, მოიპოვოს თანხმობა იმ პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, ვის შესახებაც მიკრობანკს გადასცემს ინფორმაციას;

9.9.7.5. აქვს კითხვარის/თვითდეკლარაციის ფორმის მიკრობანკისათვის წარდგენის და მასზე ხელმოწერის უფლებამოსილება.

9.9.8 კლიენტი პასუხისმგებელია თვითდეკლარაციის ფორმით მიკრობანკისთვის მიწოდებულ ინფორმაციის სიზუსტეზე და უტყუარობაზე, ამასთან კლიენტი სრულად აგებს პასუხს ნებისმიერ ზიანზე ან/და ზარალზე, რომელიც შეიძლება მიადგეს მიკრობანკს კლიენტის ნებისმიერი ქმედებიდან გამომდინარე, CRS რეგულაციის მოთხოვნილი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არასათანადო შესრულების გამო.

9.10. სანქციებთან დაკავშირებული პირობები

9.10.1 კლიენტი, მიკრობანკის წინაშე და მის სასარგებლოდ აცხადებს, იძლევა გარანტიას და ამავდროულად კისრულობს ვალდებულებას, რომ:

9.10.1.1. კლიენტზე ან/და პირზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან ფლობს კლიენტს (შემდგომში - კლიენტის მაკონტროლებელი პირი), ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არ ვრცელდება და მომავალში არ გავრცელდება, გაერთიანებული სამეფოს (UK) ან/და ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამსახურის (OFAC) ან/და ევროკავშირის (EU) ან/და გაერთიანებული ერების (UN) ან/და საქართველოს ან/და რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ან/და მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრის (შემდგომში - "უფლებამოსილი პირ(ებ)ი") მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქცია ან/და ნებისმიერი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვა, მოთხოვნა ან/და აკრძალვა;

9.10.1.2. კლიენტი ან/და კლიენტის მაკონტროლებელი პირი ან/და ქვეყანა/ტერიტორია, რომლის რეზიდენტიც არის კლიენტი ან რომელშიც დაფუძნებულია/რეგისტრირებულია ან მდებარეობს ან ოპერირებს კლიენტი, ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არ არის აღრიცხული და მომავალში არ მოხვდება ნებისმიერი სანქცირებული ქვეყნების/ტერიტორიების ან/და სანქცირებული პირების სიაში (მასში

დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), რომელიც გამოცემულია/წარმოებულია უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ;

9.10.1.3. კლიენტი ან/და კლიენტის მაკონტროლებელ პირი, ხელშეკრულების გაფორმებამდე არ ახორციელებდა, ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არ ახორციელებს და მომავალში არ განახორციელებს, რაიმე ისეთ ქმედებას, გარიგებას ან/და ოპერაციას, რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს კლიენტის ან/და კლიენტის მაკონტროლებელ პირის მიერ უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქციის ან/და უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვის, მოთხოვნის ან/და აკრძალვის დარღვევა ან/და თავიდან არიდება/გვერდის ავლა;

9.10.1.4. კლიენტი ან/და კლიენტის მაკონტროლებელ პირი, ხელშეკრულების გაფორმებამდე არ ახორციელებდა, ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არ ახორციელებს და მომავალში არ განახორციელებს, რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების შეძენას იმ ზღვრულ ნასყიდობის ფასზე მაღალ ფასად, რომელიც დადგენილია უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ;

9.10.1.5. კლიენტი ან/და კლიენტის მაკონტროლებელ პირი, ხელშეკრულების გაფორმებამდე არ ახორციელებდა, ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არ ახორციელებს და მომავალში არ განახორციელებს, რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ისეთი ნავთობით ან/და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობას ან/და მათ გაყიდვას, ექსპორტს, რეექსპორტს, იმპორტს, მიწოდებას, ტრანსპორტირებას ან/და ნებისმიერი ამგვარი ქმედების/საქმიანობის რაიმე ფორმით ხელშეწყობას, რომლის შეძენაც მოხდა უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დადგენილ ზღვრულ ნასყიდობის ფასზე მაღალ ფასად;

9.10.1.6. ხელშეკრულების გაფორმებამდე, ხელშეკრულების გაფორმების მომენტში და მომავალში კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე არ ფიქსირდება /არ დაფიქსირდება სანქცირებულ პირთა სიაში შემავალი ქვეყნ(ებ)ის მიერ/ქვეყნ(ებ)ში წარმოებული პროდუქციის შეძენასთან / იმპორტთან / ექსპორტთან / გადაზიდვასთან და/ან სხვა ნებისმიერ ქვეყანაში შეძენილი პროდუქციის სანქცირებულ პირთა სიაში შემავალი ქვეყნ(ებ)ის ტერიტორიის გავლით და/ან სანქცირებულ პირთა სიაში შემავალი ქვეყნ(ებ)ის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის საჰაერო, საზღვაო და სხვ.) პროდუქციის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ტრანზაქციები / ოპერაციები.

9.10.2 მიკრობანკის მოთხოვნისთანავე, მიკრობანკისთვის მისაღები ფორმით, კლიენტი დაუყოვნებლივ მიაწოდებს მიკრობანკს ნებისმიერ და ყველა ინფორმაციას ან/და დოკუმენტს, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის მიერ რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ნავთობით ან/და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობასთან, ან/და რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების შეძენასთან, გაყიდვასთან, ექსპორტთან, რე-ექსპორტთან, იმპორტთან, მიწოდებასთან ან/და ტრანსპორტირებასთან, ან/და ნებისმიერი ამგვარი ქმედების/საქმიანობის რაიმე ფორმით ხელშეწყობასთან.

9.10.3 კლიენტი დაუყოვნებლივ შეატყობინებს მიკრობანკს ნებისმიერი ისეთი გარემოების ან/და მოვლენის არსებობის/დადგომის შესახებ, რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს კლიენტის ან/და კლიენტის მაკონტროლებელი პირის მიერ უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქციის ან/და უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვის, მოთხოვნის ან/და აკრძალვის დარღვევა

ან/და თავიდან არიდება/გვერდის ავლა ან/და რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს კლიენტის ან/და კლიენტის მაკონტროლებელი პირის უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ გამოცემულ/წარმოებული ნებისმიერი სანქცირებული პირების სიაში შეტანა/შეყვანა.

9.10.4 მიკრობანკი უფლებამოსილია, მიკრობანკისთვის ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებების შეუზღუდავად, იმოქმედოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით და განახორციელოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება, ან/და დაუყოვნებლივ შეწყვიტოს, შეაჩეროს ან/და უარი თქვას კლიენტისთვის ნებისმიერი და ყველა მომსახურების გაწევაზე, მათ შორის, შეუზღუდავად, კლიენტის გაფრთხილების/წინასწარი შეტყობინების გარეშე დახუროს კლიენტის ანგარიშები მიკრობანკში/შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ან/და შეაჩეროს/გააუქმოს/უარი თქვას ნებისმიერი გადარიცხვის ან/და დავალების შესრულებაზე, არ მისცეს კლიენტს ნებისმიერი თანხის/აქტივ(ებ)ის განკარგვის ან/და მართვის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ:

9.10.4.1. კლიენტი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, ნებისმიერ განცხადებასა და გარანტიას ან/და ნაკისრ ვალდებულებას;

9.10.4.2. მიუხედავად ნებისმიერი ფაქტობრივი გარემოების არსებობისა ან/და ხელშეკრულებაში განსაზღვრული ნებისმიერი სხვა პირობის თუ დებულებისა, მიკრობანკი, საკუთარი შეხედულებისამებრ, საჭიროდ/მიზანშეწონილად ჩათვლის ასეთი ქმედების განხორციელებას უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ განსაზღვრულ სანქციებთან ან/და მოთხოვნილ ქმედებებთან, შესაბამისობაში მოსვლის მიზნებისთვის.

9.10.5 მიკრობანკის მოქმედება უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით ან/და უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელება ან/და კლიენტისთვის მომსახურების შეწყვეტა, ხელშეკრულების შეწყვეტა, შეჩერება ან/და მომსახურების გაწევაზე უარის თქმა, არ ჩაითვლება მიკრობანკის მიერ კლიენტის წინაშე არსებული/ნაკისრი რაიმე ვალდებულების რაიმე ფორმით დარღვევად და მიკრობანკს არ დაეკისრება რაიმე სახის პასუხისმგებლობა უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით მოქმედებისთვის ან/და უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელებისთვის ან/და კლიენტისთვის მომსახურების შეწყვეტისთვის, შეჩერებისთვის ან/და მომსახურების გაწევაზე უარის თქმისთვის.

9.10.6 კლიენტი ვალდებულია მიკრობანკს აუნაზღაუროს ნებისმიერი და ყველა სახის ზიანი/ზარალი, რომელიც მიკრობანკს წარმოეშობა კლიენტის მიერ ზემოთ მოცემული ნებისმიერი განცხადების, გარანტიის ან/და ვალდებულების დარღვევის შედეგად.

10.ხელშეკრულების ცვლილება

10.1 მიკრობანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები (მათ შორის ტარიფები), რომლის თაობაზე კლიენტს ეცნობება მიკრობანკის ვებ-გვერდზე (https://crystal.ge/kristalis-sadebeto-barati/) გამოქვეყნების გზით, ასევე ცვლილებების ამოქმედებამდე ერთი თვით ადრე კლიენტისთვის შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, ამასთან, იმ კლიენტებთან მიმართებით, რომლებიც ხელშეკრულებას უერთდებიან ცვლილებების გამოქვეყნების შემდეგ, აღნიშნული ცვლილებები

მიიჩნევა მათთვის წინასწარ გაცნობილად და სავალდებულოდ ხელშეკრულების დადასტურების მომენტიდან, მათზე წინასწარი ერთ თვიანი შეტყობინების ვალდებულება არ ვრცელდება.

10.2 კლიენტის წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ:
10.2 .1. ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ;
10.2.2. ცვლილება ეხება ახალ საბანკო პროდუქტის დამატებას, რაც არსებითად არ ცვლის კლიენტის არსებულ მომსახურებას;
10.2.3. ცვლილება გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნიდან ან/და მიკრობანკის ზედამხედველი/მარეგულირებელი/მაკონტროლებელი ორგანოს მითითებიდან.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ეთანხმება მიკრობანკის მიერ ინიცირებულ ცვლილებას, იგი ვალდებულია ცვლილებათა ამოქმედებამდე, მიკრობანკთან წერილობითი ფორმით დააფიქსიროს საკუთარი დაუთანხმებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ იგი ეთანხმება ინიცირებულ ცვლილებებს. ცვლილებებზე დაუთანხმებლობის დაფიქსირებით კლიენტს წარმოეშობა ვალდებულება სრულად დაფაროს მიკრობანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულებები აღნიშნულ ცვლილებათა ამოქმედებამდე.

10.4 ცვლილებებზე დაუთანხმებლობისა და კლიენტის მიერ 10.3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, ცვლილების ამოქმედების თარიღიდან შეწყდება წინამდებარე ხელშეკრულება.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**,** მისი შეწყვეტა**,** ანგარიშის დახურვა

11.1წინამდებარე ხელშეკრულება კლიენტისათვის ძალაშია საბანკო ანგარიშის გახსნის განაცხადის ხელმოწერის/დადასტურების თარიღიდან ან/და საბანკო პლასტიკური ბარათის გაცემის მომენტიდან (თუ მე-7 მუხლის პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული)ხელშეკრულების მოქმედების ვადას წარმოადგენს შესაბამისი საბანკო მომსახურებით (საბანკო ანგარიშები) სარგებლობის ვადა.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა, რომლის საფუძველზეც მიკრობანკში გახსნილია საბანკო ანგარიში, იწვევს ანგარიშ(ებ)ის დახურვას.

11.3 კლიენტის მიერ რამდენიმე საბანკო ანგარიშის ფლობის შემთხვევაში, მისივე მოთხოვნით ერთ-ერთის დახურვის მიუხედავად, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ნარჩუნდება სხვა ანგარიშ(ებ)ის მიმართ.

11.4 კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს წერილობითი ფორმით მოსთხოვოს მიკრობანკს ანგარიშის დახურვა. წერილობითი ფორმით მოთხოვნა უნდა განხორციელდეს წინასწარ, 1 (ერთი) თვით ადრე. იმავდროულად მიკრობანკის თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია შეწყდეს შესაბამისი მომსახურება აღნიშნული ვადის გასვლამდეც. ანგარიშის დახურვამდე უნდა დაიფაროს მიკრობანკის წინაშე არსებული ვალდებულებები, ანგარიშის მომსახურების ან სხვა საკომისიოები.

11.5 მიკრობანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ნებისმიერ დროს, თუ ამავე ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით სხვა რამ არის დადგენილი, კლიენტის 1 (ერთი) თვით ადრე შეტყობინების საფუძველზე.

11.6 მიკრობანკი ასევე უფლებამოსილია კლიენტის მოთხოვნის, თანხმობის ან/და წინასწარი შეტყობინების/გაფრთხილების გარეშე, ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და დახუროს საბანკო ანგარიში:

11.6.1. თუ ანგარიში არის უმოძრაო (არ ხორციელდება კლიენტის ინიცირებით ოპერაციები, გარდა ავტომატური დავალების ფარგლებში საკომისიოს დარიცხვისა) და არც ნაშთია ანგარიშზე 12 თვის განმავლობაში, ანგარიშს ენიჭება არააქტიური სტატუსი, ხოლო აღნიშნული სტატუსის მინიჭებიდან 36 თვის გასვლისთანავე დაიხურება ანგარიში. იმავდროულად მიკრობანკს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება უმოძრაო ანგარიშის (ანგარიშების) არდახურვის შესახებ იმ შემთხვევებში, თუკი ამავე კლიენტს მიკრობანკში გახსნილი აქვს სხვა ანგარიში (ანგარიშები), რომლებზეც იმავე პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდა კლიენტის ოპერაციები;

11.6.2. თუ ხელშეკრულებაში შესატან ცვლილება(ებ)ზე კლიენტმა დააფიქსირა უარი;

11.6.3. არასწორი აღმოჩნდა ან გაქარწყლდა, წინამდებარე ხელშეკრულების 9.6 ან/და 9.10.1 პუნქტით განსაზღვრული კლიენტის რომელიმე განცხადება/გარანტია, ან/და კლიენტმა არ შეასრულა წინამდებარე ხელშეკრულების 9.10.2 ან/და 9.10.3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება ან/და კლიენტის მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს სანქციის დარღვევას/გვერდის ავლას და აღნიშნულის გამო მიკრობანკის შეფასებით იარსებებს კლიენტზე ან/და კლიენტის მაკონტროლებელი პირზე სანქციის გავრცელების რისკი ან/და კლიენტზე ან/და კლიენტის მაკონტროლებელი პირზე გავრცელებული იქნება სანქცია;

11.6.4. კანონმდებლობითა და წინამდებარე და ან კლიენტთან გაფორმებული სხვა ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

11.7 დაუშვებელია ანგარიშის დახურვა შემდეგ შემთხვევებში:

11.7.1. კლიენტის ეროვნულ ვალუტაში არსებული უკანასკნელი ანგარიშის დახურვა მანამ, სანამ კლიენტს მიკრობანკში გახსნილი აქვს ანგარიში უცხოურ ვალუტაში;

11.7.2. თუ ანგარიში წარმოადგენს აქტიური საბანკო პროდუქტის მომსახურე ანგარიშს;

11.7.3. თუ კლიენტს გააჩნია მიკრობანკის მიმართ შესასრულებელი ფულადი ვალდებულება;

11.7.4. სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშის მფლობელის გარდაცვალებისას, მემკვიდრის განცხადებით, სამკვიდრო მოწმობის, მემკვიდრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ხელმოწერის ნიმუშის წარდგენის შემთხვევაში. მემკვიდრის მოთხოვნის შემთხვევაში მიკრობანკი ვალდებულია არ დახუროს ვადიანი სადეპოზიტო ანგარიში სადეპოზიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე. ამ შემთხვევაში ხდება სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშის გადაფორმება მემკვიდრის სახელზე;

11.7.5. ანგარიშზე რეგისტრირებულია ყადაღა ან სხვა ისეთი შეზღუდვა, რაც მიმდინარე კანონმდებლობის თანახმად ხელს უშლის ანგარიშის დახურვას. ყადაღასთან დაკავშირებით შეზღუდვა არ მოქმედებს ისეთ ანგარიშებთან მიმართებით, სადაც დადებითი ნაშთი არ ფიქსირდება.

11.8 კლიენტის მიერ ანგარიშის დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ დახურვის მომენტისთვის ანგარიშზე განთავსებულია თანხა, კლიენტი ვალდებულია ანგარიშის დახურვამდე გაიტანოს აღნიშნული თანხა ან/და გადარიცხოს ის სხვა ანგარიშზე.

11.9 მიკრობანკის მიერ, კლიენტის თანხმობის გარეშე ანგარიშის დახურვის შემთხვევაში, თუ დახურვის მომენტისთვის ანგარიშზე განთავსებულია თანხა, მიკრობანკი აღნიშნულ თანხას გადარიცხავს სხვა

ანგარიშზე, ხოლო თუ კლიენტს არ აქვს სხვა აქტიური ანგარიში, მაშინ დასახურ ანგარიშზე არსებული თანხის დეპონირება მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.10 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მომსახურების ტარიფების გადახდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გაწეული საგადახდო მომსახურების პერიოდის პროპორციულად, ამასთან თუ ტარიფებით განსაზღვრული რომელიმე რეგულარული/პერიოდული საკომისიო გადახდილია წინასწარ, მიკრობანკი უზრუნველყოფს ზედმეტად გადახდილი თანხის კლიენტისთვის დაბრუნებას.

12. დისტანციურად დადებულ საბანკო ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები

12.1. წინამდებარე თავით განისაზღვრება კლიენტის მიერ იმ "საბანკო ანგარიშის მომსახურების შესახებ" ხელშეკრულებაზე უარის თქმის წესი და პირობები, რომელიც დადებულია მიკრობანკის დისტანციური კომუნიკაციის არხის საშუალებით (შემდგომ "ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება").

12.2 კლიენტს შეუძლია ისარგებლოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, საბანკო ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დადებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. ხსენებული ვადის გასვლის შემდგომ, კლიენტს არ აქვს უფლება, ისარგებლოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით.

12.3 კლიენტმა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების დასაფიქსირებლად მიკრობანკს (მიკრობანკის ფილიალს/სერვისცენტრს) უნდა მიმართოს წერილობითი განცხადებით, რომელიც სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს იმ ანგარიშზე (ანგარიშის ნომერზე) მითითებას, რომლის დახურვა სურს კლიენტს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების საფუძველზე.

12.4 მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის მიუხედავად, კლიენტი არ თავისუფლდება გაწეული ან/და მიღებული მომსახურების საკომისიოს/ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისგან, რაც ასევე მოიცავს მიკრობანკის უფლებას კლიენტს დააკისროს მომსახურების ფარგლებში მიკრობანკის მიერ მესამე პირისთვის გაწეული/გასაწევი ხარჯის სრულად ანაზღაურება;

12.5 ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა:
12.5.1 კლიენტი ვალდებულია დაუბრუნოს მიკრობანკს საბანკო ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში მიკრობანკისგან მიღებული თანხები ან/და ქონება, აუნაზღაუროს მიკრობანკს ხელშეკრულების შესაბამისად მიკრობანკის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისა და პერიოდის პროპორციულად ხარჯი/საკომისიო და მიკრობანკის მიერ მომსახურების ფარგლებში მესამე პირისთვის გაწეული/გასაწევი ხარჯი;
12.5.2 მიკრობანკი ვალდებულია დაუბრუნოს კლიენტს თანხა, რომელიც კლიენტმა გადაუხადა მიკრობანკს საბანკო ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში. ამასთან, მიკრობანკის მიერ დაბრუნებას არ ექვემდებარება:
12.5.2.1. მიკრობანკის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში უკვე გაწეული მომსახურებისა და პერიოდის შესაბამისი მომსახურების საკომისიო, მიკრობანკის მიერ მომსახურების ფარგლებში მესამე პირისთვის გაწეული და კლიენტის მიერ ანაზღაურებული ხარჯი;

12.5.2.2. საკომისიო, რომელიც გადახდილია მომსახურების ფარგლებში უკვე შესრულებულ/დასრულებული ტრანზაქციების/ოპერაციების განხორციელებისთვის;
12.5.2.3.ის ხარჯები, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება დაბრუნებას.

12.6 მხარეები თანხმდებიან, რომ მიკრობანკი უფლებამოსილია 12.5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხები გაქვითოს მიკრობანკის მიერ კლიენტისთვის დასაბრუნებელი თანხებიდან.

12.7 კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ 12.5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

12.8 ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ საბანკო ანგარიშის გახსნის განაცხადის ხელმოწერისთანავე/დადასტურებისთანავე კლიენტი აძლევს მიკრობანკს ცალსახა და ერთმნიშვნელოვან თანხმობას, რომ მიკრობანკმა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მომსახურება დაიწყოს დაუყოვნებლივ.

12.9 მიკრობანკი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის ზიანზე, თუ კლიენტი 12.5.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მიზნით თავის ანგარიშზე თანხას ვერ განათავსებს ან/და ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას ვერ გამოიყენებს საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის, ყადაღის, ინკასოს ან სხვა ნებისმიერი, მიკრობანკისგან დამოუკიდებელი მიზეზით. ასევე, თუ მიკრობანკი 21.5.2 პუნქტით განსაზღვრულ თანხას ჩარიცხავს კლიენტის ანგარიშზე და კლიენტი ვერ შეძლებს თანხის განკარგვას სხვა, მიკრობანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, მათ შორის, არსებული საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის, ყადაღის ან ინკასოს გამო.

12.10 ხელშეკრულებაზე უარით თქმის უფლება არ ვრცელდება:
12.10.1. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 09 მარტის №32/04 ბძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესით“ განსაზღვრულ საფინანსო პროდუქტებზე;
12.10.2. იმ საბანკო ანგარიშის დახურვაზე, რომელიც აუცილებელია მიკრობანკში კლიენტის სხვა საბანკო პროდუქტის გამოყენებისათვის/საბანკო პროდუქტიდან გამოდინარე ვალდებულების შესრულებისათვის.

13. მხარეებს შორის კომუნიკაცია**,** დავის გადაწყვეტა

13.1 მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა და კომუნიკაცია იწარმოებს ქართულ ენაზე.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.3 მხარეები კომუნიკაციას ახორციელებენ როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი, მათ შორის ელექტრონული ან სმს შეტყობინების ფორმით. იმავდროულად მხარეთათვის სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ წერილობითი ან კონკრეტული მოქმედების განსახორციელებლად მხარეთა შორის სპეციალურად შეთანხმებული ფორმით განსაზღვრული კომუნიკაცია.

13.4 მიკრობანკი წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეტყობინებებს კლიენტს უგზავნის საბანკო ანგარიშის გახსნის განაცხადში ან ნებისმიერი სხვა განაცხადით/დოკუმენტით შეთანხმებული საკომუნიკაციო საშუალებებით.

13.5 კლიენტი ვალდებულია საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს მიკრობანკს წერილობით შესაბამისი ცვლილების და განახლებული მონაცემის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მიკრობანკს არ წარმოეშობა რაიმე სახის პასუხისმგებლობა შეტყობინების განუხორციელებლობიდან გამომდინარე.

13.6 მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების და მოლაპარაკების წარმოების გზით.

13.7 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კი გამოყენებული იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები.

13.8 კლიენტი უფლებამოსილია მიმართოს მიკრობანკს საჩივრით ზეპირი ან წერილობითი ფორმით. საჩივრის ზეპირი ფორმით წარდგენის შემთხვევაში, მიკრობანკი შესთავაზებს კლიენტს საჩივრის დაფიქსირების სტანდარტულ წერილობით ან ელექტრონულ ფორმას. საჩივრის წარდგენისთანავე მიკრობანკი ახდენს მისი მიღების დადასტურებას (წერილობით ან ელექტრონულად). კლიენტს საჩივრის ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობა აქვს მიკრობანკის ელექტრონული ფოსტის მისამართზე - Complaint@crystal.ge ან საჩივრის მიკრობანკის ვებგვერდზე ატვირთვის გზით. საჩივრის დაფიქსირება ასევე შესაძლებელია მიკრობანკის სატელეფონო ცენტრში, ნომერზე +99532 2 022020.

13.9 საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებით კლიენტის საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მიკრობანკის მიერ ხორციელდება "საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ" კანონით განსაზღვრულ ვადაში. კერძოდ, მიკრობანკის მიერ საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება საჩივრის მიღებიდან 15 (თხუთმეტ) სამუშაო დღის ვადაში. თუ მიკრობანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, მიკრობანკი კლიენტს აცნობებს გადაწყვეტილების მიღების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საჩივრის მიღებიდან 35 (ოცდათხუთმეტ) სამუშაო დღეს.

13.10 საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებით მიკრობანკისათვის წარდგენილი საჩივრის დაუკმაყოფილებლობის ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, კლიენტი უფლებამოსილია, განსახილველ საჩივართან დაკავშირებით, მიკრობანკისთვის საჩივრით მიმართვის დღიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის განმავლობაში მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას, რომელიც დავას განიხილავს უსასყიდლოდ.

13.11 გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა – www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406